საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 25 დეკემბერი. 2018 წ. №262 (8663) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუღთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ანანიაშვილი-ვაშაძის ქართული ბალეტის მიტაცების და ხელში ჩაგდების სქემა

სკანდალი

ფაქტები მხოლოდ ახლა ამოტივტივდა!

საქართველოს ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოფილი სოლისტი, ქორეოგრაფი, ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი **თამაზ ვაშაკიძე** ნინო ანანიაშვილისა და გრიგოლ ვაშაძის მიერ ბალეტის მიტაცებისა და ხელში ჩაგდების სქემაზე სკანდალურ ინფორმაციას ასაჯაროებს.

როგორც ვაშაკიძემ „რეპორტიორთან“ საუბარში განაცხადა, უკვე 13 წელია, რაც დევნილია და აღნიშნა, რომ ეს „ანანიაშვილი-ვაშაძის დამსახურებაა“.

„2004 წელს მიხეილ სააკაშვილის მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა ნინო ანანიაშვილი და მისი მეუღლე, რომლთა ინტერესი საქართველოში საბალეტო სამყარო აღმოჩნდა – მიეთვისებინათ და ემართათ ყველაფერი.

მე წასვლა მომთხოვეს. როცა უარი ვთქვი და განცხადებით არ წავედი, დაიწყო ჩემი დევნა.

დირექტორის თანამდებობა დაიკავა გრიგოლ ვაშაძის ძმისშვილმა ზვიად ბაქრაძემ, რომელიც ადრე ბავშვთა კოლონიის ხელმძღვანელი იყო, სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა კი დაიკავა ნინო ანანიაშვილმა. აღმოჩნდა, რომ პირდაპირი შეკვეთა იყო მიშა სააკაშვილის, ანანიაშვილი ყოფილიყო ყველგან. ფაქტებიდან გამომდინარე, მიჩნდება მოსაზრება, რომ ჩემი მოშორება ქორეოგრაფიული სასწავლებლიდან და საერთოდ, ქართული ბალეტიდან, ნინო ანანიაშვილის ინტერესი იყო.

...2005 წლის 9 დეკემბრიდან გავხდი ძებნილი, იძულებული ვიყავი, დამეტოვებინა საქართველო, სადაც დარჩა ჩემი ოჯახი – მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი, 13 წელია, დავკარგე სამშობლოში შემოქმედებითი მოღვაწეობის საშუალება, 13 წელია, ჩემი ბავშვები უმამოდ იზრდებიან და ჩემი მეუღლე მარტო უვლის შვილებს! მთელი ჩემი ცხოვრება შევწირე საქართველოს, ხელოვნებას და ერთ წამში გადაუსვეს ხაზი ყველაფერს“, – ამბობს თამაზ ვაშაკიძე.

როგორც ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ განმარტა, თამაზ ვაშაკიძის დაჭერა ნინო ანანიაშვილის ინტერესებში იყო.

„შემექმნა შთაბეჭდილება, რომ თამაზის დაჭერა პროკურატურის ინტერესებში არ იყო, ეს იყო სხვის ინტერესში. აჭერინებენ ადამიანს. მე არ მინდა, რომ დავიჭირო, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, ვუყენებ ამხელა გირაოს და ვაკეთებ ყველაფერს, მერე კი უკვე თვალს ვხუჭავ მის გაქცევაზე. პროკურატურამ თამაზს, პრაქტიკულად, მისცა საშუალება, საქართველო დაეტოვებინა, თორემ ინფორმაციას გადასცემდა საზღვარზე და თამაზი ვერანაირად ვერ დატოვებდა საქართველოს. პროკურატურა მიხვდა, რომ თამაზი არ იყო დამნაშავე, არ აწყობდა მისი დაჭერა და ინტერესები დააბალანსა. ქალბატონმა ანანიაშვილმა თავისას მიაღწია – ვაშაკიძე საქართველოდან წავიდა. ეს იყო ერთი პირის ინტერესი, თუმცა სახელმწიფო ბოროტად, ცუდად დაუდგა გვერდით ნინო ანანიაშვილს, არ დაუჭირა, მაგრამ საქართველოდან გააქცია. ეს შეიძლება შემამსუბუქებელი გარემოება იყოს პროკურატურისთვის“, – განაცხადა **დიმიტრი გაბუნიამ.**

ახალი პრეზიდენტის მრჩევლები

საქართველოს პრეზიდენტმა მრჩეველთა გუნდი წარადგინა. როგორც სალომე ზურაბიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ჯერჯერობით, მხოლოდ გუნდის ნაწილი ჰყავს დაკომპლექტებული.

„როგორც დაგპირდით, წარმოგიდგენთ ჩემი გუნდის ნაწილს, რომელიც დღეს ინიშნება, წარმოგიდგენთ მრჩეველთა გუნდს. ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნა ლაშა ჟვანია, ქეთევან მახარაშვილი იქნება ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, მას დაევალება ეთნიკურ უმცირესობასთან და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებში პრეზიდენტის საქმიანობის კოორდინაცია, დროებით, ასევე პრესსპიკერის ფუნქციებს შეითავსებს. დიმიტრი გაბუნია უკვე არის ჩვენი საპარლამენტო მდივანი. სიმონ პეტრედისი, – მრჩეველი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საკითხებში.

როგორც ხედავთ, პრეზიდენტის სასახლე არ არის ბოლომდე ადაპტირებული, როგორც შშმ პირებისთვის არის საჭირო და ჩვენ ამ ცვილლებებს დავიწყებთ პრეზიდენტის სასახლიდან. ასევე, ნათია სულავა – მრჩეველი დიასპორის, ასევე მოქალაქეობის საკითხებში, ალექსი ბარბაქაძე – სამხედრო საკითხებში მრჩეველი, ირინა შენგელია – საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობების საკითხებში მრჩეველი, კოტე ნაცვლიშვილი – მრჩეველი კულტურის, განათლებისა და მეცნიერების საკითხებში. ეს არის დღევანდელი დღისთვის ჩვენი გუნდი“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მან ასევე წარადგინა სტაჟიორი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში პიერ ალექსანდრ კრევუ, რომელიც, მისი თქმით, არის ქართველი, ცხოვრობდა ემიგრაციაში და სტაჟირების შემდეგ პრეზიდენტის გუნდის წევრი გახდება.

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ელის!

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB76015360-20100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

„ვაქებ ქვეყანას ბრძენთასა...“

ასე ამბობდა ანტონ ჩეხოვი

„ყველაფერი იციან და ყველაფერი გაეგებათ მხოლოდ სულელებსა და თაღლითებს“

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

უნივერსიტეტის მესაძირკვლეთა დიდებული მემკვიდრე 5

აკაკი ურუშაძე – 100

დაასახელეს უზენაეს სასამართლოში წარსადგენ მოსამართლეთა კანდიდატურები

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაეს სასამართლოში წარსადგენ მოსამართლეთა 10 კანდიდატურა დაასახელა.

ესენი არიან: მარიამ ცისკაძე, ნინო ქადაგიძე, მიხეილ ჩინჩალაძე, პაატა სილაგაძე, დიმიტრი გვრიტიშვილი, მერაბ გაბინაშვილი, ნინო სანდოძე, თამარ ალანია, გიორგი ტყავაძე და გიორგი მიქაუტაძე.

აღნიშნულ კანდიდატებს საბჭო დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს.

ცესკოს თავმჯდომარედ კვლავ თამარ ჟვანია აირჩიეს

თამარ ჟვანიამ კენჭისყრაში მონაწილე 9 წევრიდან 8 მათგანის მხარდაჭერა მიიღო.

რაც შეეხება ცესკოს თავმჯდომარეობის სხვა კანდიდატებს — ვლადიმერ ბოჟაძეს ხმა კომისიის ერთმა წევრმა მისცა, მარიამ შელეგიას — არც ერთმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ წევრებს არ მიუღიათ. კენჭისყრაში ასევე არ მონაწილეობდა თამარ ჟვანია.

ცნობისთვის, თამარ ჟვანია ცესკო-ს მომდევნო 5 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

ითხოვენ სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის შექმნას

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ოჯახის ადვოკატი გამსახურდიას მკვლელობის საქმეზე სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის შექმნას მოითხოვს. მისი თქმით, საქმეს ზედამხედველი პროკურორი უნდა გაუძღვეს, რომელიც ოჯახის ნდობით აღჭურვილი პირი იქნება.

„ჩვენი მოთხოვნა ამ უნდობლობის პროცესში, რომელიც პროკურატურის მიმართ გვაქვს, უკავშირდება სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის შექმნას. არა ერთი გამომძიებელი და ერთი პროკურორი ბუნებრივია, ვერც შეძლებენ ამ საქმეზე, რომ მნიშვნელოვანი, ერთდროული საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარონ, რაც აუცილებელია ასეთი ტიპის საქმეზე. ამიტომ უნდა შეიქმნას საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება სხვადასხვა სპეციალიზაციის მქონე გამომძიებლებით და ეყოლება ზედამხედველი პროკურორი და ეს ზედამხედველი პროკურორი უნდა იყოს ოჯახის მიერ ნდობით აღჭურვილი პირი“, — აცხადებს ამირან გიგუაშვილი.

კოკო გამსახურდია კლინიკაში გადაიყვანეს

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც ძმასთან ერთად მთავარ პროკურატურასთან მე-11 დღეა, შიმშილობს, ალადაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. მას გამოკვლევები უტარდება. გამსახურდიას კლინიკაში გადაყვანა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა გადაწყვიტა, რადგან მას თავბრუხვევა აღენიშნებოდა.

პროკურატურასთან შიმშილობას განაგრძობს ცოტნე გამსახურდია.

ცრუ ჩვენება და დანაშაულის შეუტყობინებლობა...

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დანაშაულის შეუტყობინებლობისა და ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი თენგიზ ქობალია და მოქალაქე ხუტა ბ. დააკავეს.

თენგიზ ქობალიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიას და ვიცე-მერის გია გულორდავას მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი შეიტყო და აღნიშნულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინა, ხოლო ხუტა ბ-მ იმისათვის, რომ არ ემხილებინა გია გულორდავა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, გამოძიებას განზრახ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა.

ქუთაისში ბინა 52 დევნილ ოჯახს გადაეცა

იძულებით **გადაადგილებულ პირებს ახალი ბინის გასაღებები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ და იმერეთის გუბერნატორმა შავლეგო ტაბატაძემ გადასცეს.**

ამ ეტაპზე, ბინები იმ დევნილმა ოჯახებმა მიიღეს, რომლებიც სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, ავარიულ შენობებში ცხოვრობდნენ. ჯამში, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი 4 ობიექტი დაიხურა.

ახალაშენებულ კორპუსში არსებული 52 ბინიდან 14 ერთოთახიანია, 26 ოროთახიანი, 12 კი სამოთახიანი. ქუთაისში, დევნილი ოჯახების განსახლების მიზნით, კიდევ 245 ბინაა შესყიდული. გარდა ამისა, ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩაზე 480 იძულებით გადაადგილებული ოჯახისთვის 6 კორპუსის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. ჯამში, 2019 წელს, 725 ბინა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად განაწილდება. ასევე, განიხილება ნგრევადი ობიექტების დახურვის საკითხიც. განსახლების პროცესში პრიორიტეტი ვეტერანი დევნილების ოჯახებს მიენიჭებათ.

წყალტუბოში, უკვე დასრულდა ტენდერი და 420 დევნილი ოჯახისთვის 6 კორპუსის მშენებლობა დაიწყება. ამ ეტაპზე, კი 140-ბინიანი 2 კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს. მშენებლობები დასრულების შემდგომ, წყალტუბოში ყველა ნგრევადი ობიექტი დაიხურება. 2013 წლიდან დღემდე, იმერეთის რეგიონში ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართი, ჯამში, 1300-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა.

სვანეთში მთის კურორტების განვითარებისთვის...

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ ადგილობრივ მოსახლეობაში, სათხილამურო სპორტის პოპულარიზაციის მიზნით, გასულ წელს სვანეთის ხუთ სოფელში: მაზერში, უშხვანარში, ეცერში, უშგულსა და დაბა ლენტეხში მცირე ზომის საბაგიროები ააშენა.

უშგულში, უშხვანარსა და ეცერში არის თითო 200-მეტრიანი გერმანული წარმოების საბაგირო „მულტი სკი“, ხოლო ლენტეხსა და მაზერში თითო 200-მეტრიანი სლოვაკური წარმოების საბაგირო „ტატრა ლიფტი“.

„ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი ბავშვები დადგნენ თხილამურზე, სწორედ ისინი მოუტანენ საქართველოს წარმატებას, სათხილამურო სპორტში. ამიტომ გადავწყვიტეთ 200 წყვილი თხილამური გადაგვეცა მუნიციპალიტეტისთის, თითო სოფელს დაახლოებით 38 წყვილი შეხვდება. ეს არ არის ის მაქსიმუმი, რასაც ვაპირებთ სათხილამურო სპორტის პოპულარიზაციის მიზნით, გვაქვს უამრავი გეგმა რომელსაც ეტაპობრივად განვახორციელებთ“, — განაცხადა მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელმა თაზო გამცემლიძემ.

ნარინჯისფერი რთველი დასკვნით ფაზაში შედის

24 დეკემბრის **მონაცემებით, მანდარინის ექსპორტმა 23,720 ტონა შეადგინა. გასულ წელს, ამავე პერიოდში ექსპორტირებული 18,250 ტონა იყო.**

წლევანდელი მოსავალი ერთ-ერთი საუკეთესოა, რაც ექსპორტის მეტ შესაძლებლობას იძლევა. ძირითად საექსპორტო ქვეყნებად კვლავ რჩება რუსეთი (15,240 ტ) და უკრაინა (5,283 ტ), ასევე სომხეთი (2,578 ტ), ყაზახეთი (138), უზბეკეთი (261 ტ), ბელორუსია (120 ტ), ყირგიზეთი (60 ტ), ლატვია (40 ტ).

მანდარინზე საბითუმო ფასი 0.40-დან 0.70 ლარამდეა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამრეწველო გადამუშავებისთვის, ქარხნების მიერ მიღებული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ, 1-23 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 6,822 ტონა. გასული წლის ანალოგიური პერიოდისათვის აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 6,739 ტონას.

საახალწლო ბაზრობა „კოოპმარკეტი“

სასოფლო-სამეურნეო **კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ბუკიას ბაღში საახალწლო ბაზრობა „კოოპმარკეტი“ მოეწყო.**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციისა და რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, გამართულ გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედმა აგროპროდუქციის მწარმოებელმა 30-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო .

„კოოპმარკეტზე“ წარმოდგენილი იყო სახელმწიფოს ხელშეწყობით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქცია: თაფლი, ღვინო, ჩაი, ქართული ნუგბარი — ჩირი, ჩურჩხელა, ასევე ხილი და ყველი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა საახალწლოდ უკვე მეორედ ჩატარდა.

დღეისათვის, საქართველოში სხვადასხვა დარგის 1000-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია რეგისტრირებული.

8 უდიდესი საჩუქარი ხალხს ბიძინა ივანიშვილისგან

რვა მასშტაბურ პროექტთან დაკავშირებით საქართველოს თანაინვესტირების ფონდი განცხადებას ავრცელებს. როგორც ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, პროექტების ინიციატორი და ინვესტორი **ბიძინა ივანიშვილი მზად არის,** პროექტების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, მხოლოდ დანახარჯების ანაზღაურების, ყოველგვარი მოგებისა და კომერციული ინტერესის გარეშე ხსენებული პროექტები დაინტერესებულ ინვესტორებს გადასცეს იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები დადგენილი პირობების ფარგლებში პროექტების წარმატებულ განხორციელებას შეძლებენ.

„თაბორის პროექტთან“ დაკავშირებით, ისეთი ინვესტორის გამოჩენის შემთხვევაში, რომელიც შეძლებს სავალდებულო პირობების ფარგლებში გაცხადებული ან უკეთესი იდეის განვითარებას, **თანაინვესტირების ფონდი მზად არის, იმავე პირობებით დაუთმოს მიმდინარე კვირაში საჯარო აუქციონით შეძენილი 29 ჰექტარი მიწის ნაკვეთი,** ამასთან, მას **საჩუქრად** გადაეცემა მომიჯნავე ტერიტორიაზე განლაგებული **კომპანია „ფინსერვისის“ კუთვნილებაში არსებული 10 ჰექტარი ნაკვეთი,** რომელიც თავის დროზეც ინვესტორის მოთხოვნით მშენებლობის უფლების გარეშე იყო შეძენილი მწვანე საფარის დაცვის მიზნით და სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდასაჭერად. ბიძინა ივანიშვილი ასევე მზად არის, **განმუხურში, საჯარო, პირობიანი აუქციონით 2 266 500 ლარად შესყიდული 3 ჰა მიწის ნაკვეთი და ორ (2) მილიონ დოლარად შეფასებული სრული არქიტექტურული პროექტი საჩუქრად გადასცეს იმ ინვესტორს, ვინც აიღებს არსებული პროექტის განხორციელების ვალდებულებას. 8 მასშტაბური სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა არის უპრეცედენტო მოვლენა, რაც არათუ ერთ ცალკეულ ინვესტორს, არამედ 2012 წლამდე არსებულ არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ განხორციელებულა.** განსაკუთრებულია ის სიახლეები და ექსკლუზივები, რომლებიც იქმნება ამ პროექტებით და რომელიც დედაქალაქისა და ქვეყნის ახალი სავიზიტო ბარათები გახდება. სწორედ ასეთი გამორჩეული შეთავაზებები, ახალი სივრცეები შექმნის უნიკალურ შესაძლებლობებს ტურისტული ნაკადების მოსაზიდად და ქვეყნის კონკურენტუნარიონაობის გასაზრდელად საერთაშორისო მასშტაბით. **წარმოდგენილი პოტენციური ინვესტორებისთვის შეთავაზებული რვა (8) პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 574 მლნ აშშ დოლარს შეადგენს,** აქედან, დღეის მდგომარეობით **პროექტებში უკვე ინვესტირებულია 216 მლნ ლარი.** შთამბეჭდავია სხვა სოციალური სიკეთეები, რომლებიც პროექტების განხორციელების შედეგად იქმნება: **მშენებლობების პროცესში ჯამურად დასაქმდება 15 000 ადამიანზე მეტი,** ხოლო კომპლექსების ამოქმედების შემდეგ პირდაპირ მუდმივად **დასაქმდება დაახლოებით 2 500 ადამიანი.**

პროექტების ჩამონათვალი:

1. სასტუმრო „შეკვეთილი“, ინვესტიციის მოცულობა 75 მილიონი აშშ დოლარი;

2. სასტუმრო ერეკლე II-ის მოედანზე, ინვესტიციის მოცულობა 9 მილიონი აშშ დოლარი, პროექტი დასრულდება 2017 წელს;

3. სასტუმრო ერეკლე II-ის მოედანზე, ინვესტიციის მოცულობა 40 მლნ აშშ დოლარი, პროექტი დასრულდება 2019 წელს;

4. სასტუმრო „თავისუფლების მოედანი“, ინვესტიციის მოცულობა 90 მილიონი აშშ დოლარი;

5. თაბორის პროექტი, ინვესტიციის მოცულობა 40 მილიონი აშშ დოლარი;

6. სასტუმრო „განმუხური“, ინვესტიციის მოცულობა 40 მილიონი აშშ დოლარი;

7. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „მაგნოლია“, ინვესტიციის მოცულობა 80 მილიონი აშშ დოლარი, პროექტი დასრულდება 2019 წელს;

8. სასტუმრო „სოლოლაკი“, ინვესტიციის მოცულობა 200 მილიონი აშშ დოლარი, პროექტი დასრულდება 2019 წელს“.

წყარო: HTTP://TIMESNEWS.GE







რა სჭირს ქართულ თხილს?

ურთიერთგამომრიცხავი ცნობები დაავადების შესახებ

ევროკავშირის საზღვრიდან საქართველოში უკან მოაბრუნეს რამდენიმე ტონა თხილი, რომელშიც კიბოს გამომწვევი სოკო აღმოაჩინეს. ადამიანის ორგანიზმში აფლატოქსინის მოხვედრა მძიმე დაავადებებს იწვევს. ექსპერტი დავით ჯორბენაძე, რომელიც ევროპული ბაზრისათვის განკუთვნილი პროდუქციის ლაბორატორიის კონსულტანტია, ამბობს, რომ ევროკავშირში ქართულ პროდუქციას სულ უფრო ხშირად იწუნებენ და უკან აბრუნებენ.

ბოლო პერიოდში გაიზარდა შემთხვევები, როდესაც შემოწმების დროს ქართულ თხილში აფლატოქსინს პოულობენ. მიზეზი არასწორი გამოშრობა-შენახვა-ტრანსპორტირებაა. დაავადება თვალით უხილავია, თუმცა მას ობის სოკოებს შორის ყველაზე საშიშად მიიჩნევენ.

ალფატოქსინს მძიმე კანცეროგენური თვისებები აქვს. ის იწვევს სიმსივნესა და ღვიძლის დაავადებებს. აფლატოქსინი სწრაფად და მარტივად ვრცელდება და არ კვდება თერმული დამუშავებით.

თავად ბიზნესმენები საკითხზე საუბრისგან თავს იკავებენ. სამთავრობო უწყების მიერ დადგენილი რისკზე დაფუძნებული კონტროლი კი შესაძლოა, ქართული თხილის რეპუტაციის შელახვის მიზეზი გახდეს.

თხილის ექსპორტიორი კომპანიის Nuts.ge-ის ხელმძღვანელის მამუკა ბერიაშვილის განცხადებით, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ევროკავშირის ბაზრიდან უკან გამობრუნებულ ქართულ თხილში არ აღმოჩნდა ის დარღვევები, რის გამოც პროდუქცია ევროპულ ბაზარზე არ დაუშვეს.

„უკან დაბრუნებული თხილი სრულად შევამოწმეთ როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო აკრედიტებულ ლაბორატორიებში. ორივე ლაბორატორიის პასუხი იყო იდენტური, რომ დაავადება არ აღმოჩნდა, მაგრამ ამის პარალელურად, ჩვენ გვქონდა ევროპული საზღვრის კონტროლის ანალიზი, სადაც ფიქსირდებოდა დაავადება.

სიმართლე გითხრათ, მე თვითონ პასუხი არ მაქვს, რასთან არის ეს დაკავშირებული“, — აცხადებს მამუკა ბერიაშვილი და აღნიშნავს, რომ საუბარია კვიპროსის საზღვარზე. მსგავსი ნაბიჯები ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეს არის ხელოვნური ბარიერები ბიზნესისთვის.

„გარკვეული ქვეყნის საზღვრები ხელოვნურად აფერხებენ ქართული თხილის იმპორტს. ხდება საზღვრიდან გამობრუნება, რის შემდეგაც პროცესში ერთვება სურსათის ეროვნული სააგენტო, აჰყავს სრულ კონტროლზე და ხდება ტვირთის შემოწმება. ხშირ შემთხვევაში მიზეზი, რის გამოც პროდუქცია უკან გამოაბრუნეს, არ დასტურდება. ეს არის ბიზნესის შეფერხება“, — აცხადებს Nuts.ge-ს ხელმძღვანელი „ბიზნეს მედიასთან“.

მოსალოდნელ სკანდალთან დაკავშირებით საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციამ სპეციალური განცხადებაც გავრცელა.

„პირველ რიგში, გვინდა განგიმარტოთ, რომ დადგენილ ზღვარზე მეტი აფლატოქსინის მაჩვენებლის აღმოჩენა ევროკავშირის საზღვარზე ნორმალური მოვლენაა და არ ეხება მხოლოდ ქართულ თხილს. აფლატოქსინის აღმოჩენის ბევრად მეტი შემთხვევა ფიქსირდება თურქული და აზერბაიჯანული წარმოშობის თხილებში.

2018 წლის მანძილზე საქართველოდან ევროპაში გასულ ასობით პარტიიდან თხილში აფლატოქსინი აღმოჩნდა მხოლოდ 6 შემთხვევაში.

ევროკავშირის საზღვარზე აფლატოქსინის აღმოჩენის შემთხვევაში თხილი ბრუნდება უკან საქართველოში. საზღვარზე თხილს ხვდება სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი, ამოწმებს ტვირთს, ლუქავს მას და აცილებს დაცულ საწყობამდე, სადაც ასევე ხდება მისი დალუქვა.

დალუქული თხილი კვლავ მოწმდება აფლატოქსინის შემცველობაზე. აფლატოქსინის შემცველობის დადასტურების შემთხვევაში, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების კონტროლით ხდება მისი გადარჩევა და გასუფთავება საეჭვო თხილის გულისაგან, რადგან მასაში უმნიშვნელო რაოდენობის დაავადებულ გულს შეუძლია იმოქმედოს მთლიანი ანალიზის შედეგებზე. გადარჩევის შემდეგ, პროდუქცია განმეორებით მოწმდება ევროპულ ლაბორატორიებში. თუ აფლატოქსინი აღარ აღმოჩნდა, მეწარმეს უფლება ეძლევა განმეორებით მოახდინოს თხილის ექსპორტი. გამორჩეული წუნდებული თხილი კი განადგურებას ექვემდებარება.

გვინდა, ცალსახად აღვნიშნოთ, რომ არც ერთი კილოგრამი დაავადებული თხილი არ ხვდება ქართულ ბაზარზე და არც ერთ შემთხვევაში არ არის მისი გამოყენება მწარმოებლის კეთილ ნებაზე დამოკიდებული.

სიცრუეა საკითხის ისე წარმოჩენაც თითქოს ევროკავშირის საზღვარზე აფლატოქსინის აღმოჩენის მიზეზი არის ის, რომ აღარ ხდება მისი კონტროლი. საკითხი პირიქითაა, სექტემბრიდან კონტროლი გაძლიერებულია. იმის გარდა, რომ სახელმწიფომ დაიწყო საექსპორტო თხილის შერჩევითი კვლევა აფლატოქსინზე, მეწარმეები თავადაც ვალდებულნი არიან და მათი ინტერესიცაა, რომ გამორიცხონ აფლატოქსინის შემცველი პროდუქციის ექსპორტი და თავიდან აირიდონ პროდუქციის მობრუნების რისკი“, — აღნიშნავენ თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციაში.

ბექა დანელია

ვინც საკუთარი თავი ვერ აღმოაჩინა VALI.GE-ზე...

vali.ge-ს ერთიანი ბაზა კვლავ განახლდა — ვებგვერდზე ამჟამად ატვირთულია 32 საფინანსო ორგანიზაციიდან შეძენილი სესხები/კრედიტები.

ერთიან ბაზას დღეს კიდევ 6 საფინანსო ორგანიზაციის მონაცემები დაემატა. ესენია:

შპს „კრედიტ მენეჯმენტი“ (სესხის გამცემი: vivus.ge)
სს „მისო კრისტალი“ (სესხის გამცემი: crystal.ge)
შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ემ ბი ეს“ (სესხის გამცემი: masesxe.ge)
სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“ (სესხის გამცემი: swisscapital.ge)
შპს „სვის კაპიტალ ავტო“ (სესხის გამცემი: swisscapital.ge)
სს „ზიპ კრედიტ“ (სესხის გამცემი: zipcredit.ge)

აღსანიშნავია, რომ კოლექტორების, ე.წ. ამომღები კომპანიების შემთხვევაში, სესხები შესაძლებელია შეძენილი იყოს სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტიდან, როგორიცაა: ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ონლაინ სესხის გამცემი და სხვა.

ამ დროისთვის, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია 593 ათას 648 მსესხებლის, 1,257,616 სასესხო ჩანაწერის შესახებ, ჯამური დავალიანების თანხა 3,887,477,015 ლარია.

შეგახსენებთ, რომ ვებგვერდზე საკუთარი მონაცემების შესამოწმებლად საჭიროა სამი მარტივი ეტაპის გავლა:

— **მსესხებლის პირადი ნომრის შეყვანა;**
— **დაბადების დღე/თვე/წელი შეყვანა;**
— **უსაფრთხოების მიზნით სპეციალური გრაფის მონიშვნა.**

აღნიშნული ეტაპების გავლის შემდეგ, თუ მსესხებელი იპოვის თავის მონაცემებს, ეს ნიშნავს, რომ მას 15 დეკემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში, გაუნულდება ვებგვერდზე გამოტანილი დავალიანება.

ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მოწოდებულია საფინანსო ორგანიზაციების მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი საკუთარ თავს ვერ აღმოაჩენს ვებგვერდზე წარმოდგენილ მონაცემებში, უნდა მიმართოს სესხის გამცემ ორგანიზაციას. პარალელურ რეჟიმში, ინტენსიურად მიმდინარეობს სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება და უახლოეს პერიოდში, ერთიან მონაცემთა ბაზას კვლავ დაემატება განახლებული მონაცემები.

მკვდარი სულები ცოცხალ მსესხებელთა სიებში

სესხების განულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ გასანულებელი ვალების სიაში მკვდარი სულები ხვდებიან. შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ განულების პროგრამა კრიტიკული ხარვეზებით მუშაობს. უკვე მერამდენე შემთხვევაა, როცა პროექტის ოფიციალურ ჩამონათვალში მოქალაქეები გარდაცვლილ ადამიანებს პოულობენ. ირკვევა ისიც, რომ რამდენიმე ასეული ლარის განვადება ათასობით ლარის დავალიანებად ხელოვნურად იქცა. ვითარებაში გასარკვევად ცოტა დრო რჩება. ვალების ჩამოწერა 15 დეკემბრიდან დაიწყება და საახალწლოდ, 31 დეკემბერს დასრულდება.

გარდაცვლილების ვალების განულების პროგრამაში — ეკონომიკის მინისტრი ხარვეზებს აღიარებს.

„ვალების განულების პროგრამა მიმდინარეობს ისე, როგორც იყო დაგეგმილი და მე მგონია, რომ ყველა კმაყოფილი უნდა დარჩეს. თუ მცირე ხარვეზებია სადღაც, არა მგონია, ამას რამე დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. მე არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც წვრილმანი დარღვევები ყოფილიყო იქ, მაგრამ ეს ალბათ ტექნიკური საკითხი არის და ალბათ, ფინანსთა სამინისტრო მართავს ამ საკითხს“, — ამბობს გიორგი ქობულია.

ფინანსთა სამინისტროში კი განმარტავენ, რომ საბანკო და საფინანსო დაწესებულებების მონაცემთა ბაზებში შესაძლებელია, იყოს მონაცემები გარდაცვლილ პირთა სასესხო დავალიანების შესახებ, რადგან მოვალის გარდაცვალება ავტომატურად არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას სასესხო ურთიერთობებში. შეესაძლოა, მხარეები ხელშეკრულებაში სხვაგვარად არ არიან შეთანხმებული.

„მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მის სამკვიდრო ქონებაში შედის მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებები, ისე მოვალეობები, რომელიც მას სიკვდილის მომენტისათვის ჰქონდა. ამასთან, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული აქტივის ფარგლებში“, — განუცხადეს „კომერსანტს“ ფინანსთა სამინისტროში.

ფონდ „ქართუს“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჩხეტიანი ამბობს, რომ ფონდს სიებს შესაბამისი საკრედიტო დაწესებულებები აწვდიან და შესაბამისად, ფონდს მათი ამ კუთხით გადამოწმება ფიზიკურად არ შეუძლია.

„თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოვალის გარდაცვალების შემდეგ დავალიანება გადადის მემკვიდრეობით, ამიტომ ასეთ პირებზე ვალის განულებას არანაკლები მნიშვნელობა აქვს“, — განმარტავს ჩხეტიანი.

დანიელ ბექაური

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲥᲘᲠᲙᲕᲚᲔᲗᲘᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ – 100

ᲓᲦᲔᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲰᲐᲠᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲚᲘᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ 1997 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲦᲜᲔ ᲗᲡᲣ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ, ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲝᲒᲠᲔᲪᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲔᲑᲡ...

საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის განვითარება განსაკუთრებულად რამდენიმე თვალსაჩინო მეცნიერის სახელს უკავშირდება. ერთ-ერთი მათგანია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **ᲐᲙᲐᲙᲘ ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ**. ის დაიბადა 1918 წლის 27 ოქტომბერს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ჯერ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1940 წელს და მიიღო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია. იმავე წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასპირანტურაში. სწავლასთან ერთად მუშაობდა სკოლაში ლათინური ენის მასწავლებლად. 1944 წელს დაასრულა ასპირანტურა, ხოლო 1946 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „აპოლონიოს როდოსელი და მისი არგონავტიკა“. ცალკე წიგნად გამოცემულ სადისერტაციო ნაშრომს 1949 წელს უნივერსიტეტის პრემია მიენიჭა.

1964 წელს აკაკი ურუშაძემ დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, რომელიც მან იმავე წელს წიგნად გამოსცა.1943 წლიდან ბატონი აკაკი მსახურობდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად, პროფესორად, ხოლო 1968 წლიდან გარდაცვალებამდე (1989 წ.) ამავე კათედრის გამგედ. 1943-1950 წლებში აკაკი ურუშაძე შეთავსებით მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ ლექტორად, ხოლო 1947 წლიდან – მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ. იგი თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა დროს კითხულობდა სალექციო კურსებს ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში, ძველ ბერძნულსა და ლათინურ ენებში, წარმართავდა სპეცკურსებს კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე. 1962-1964 წლებში ბატონი აკაკი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, 1964 წლიდან 1973 წლამდე იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ასევე, თსუ ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. პროფესორი აკაკი ურუშაძე წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოს კლასიკური ფილოლოგიის განხრით. 1971 წელს აკაკი ურუშაძე აირჩიეს ვინკელმანის სახელობის საერთაშორისო საზოგადოების წევრად.

აკაკი ურუშაძემ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველოლოგიის კარდინალური პრობლემების შესწავლაში. ფართო და მრავალფეროვანია მისი მეცნიერული კვლევის პრობლემატიკა: ანტიკური ხანის ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნულ-რომაული ლიტერატურა და მითოლოგია, ბერძნული ენათმეცნიერების საკითხები, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, ანტიკური ეპოქის ავტორთა თარგმნა და გამოცემა.

აკაკი ურუშაძე როგორც მკვლევარი, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართულ-მედიტერანული საკითხებისადმი. ამ მხრივ მისი 1964 წელს გამოქვეყნებული შრომა „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ სამაგიდო წიგნია ყველასთვის, ვინც ამ საკითხებითაა დაინტერესებული. ეს ფუნდამენტური გამოკვლევა დიდძალ დოკუმენტურ მასალას შეიცავს. აქ გათვალისწინებულია ელინური, ელინისტური და ბიზანტიური პერიოდების წერილობითი წყაროები, რომელთაგან ზოგი სრული, ზოგი კი ფრაგმენტული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. აღსანიშნავია, რომ ცნობილ ბერძენ მწერლებთან ერთად მონოგრაფიაში ვხვდებით ისეთ ავტორებსაც, რომლებიც ძნელად ხელმისაწვდომი იყო იმხანად და უცხოურ ენებზეც არ იყო თარგმნილი. მკვლევარი მკაფიოდ განმარტავს თავისი ნაშრომის მთავარ კონცეფციას: „ანტიკურ წყაროთა ცნობები გარკვეულ სინათლეს ჰფენენ მედიტერანული კულტურის საწყისებისა და პელასგთა ეთნოგენეზისის საკითხებს. ამ ცნობათა ფონზე რელიეფურად მჟღავნდება პელასგების გენეტიკური კავშირი იბერიულ-კავკასიური წარმომავლობის ტომებთან. აქედან გამომდინარეობს არგონავტების თქმულების ყოველმხრივი შესწავლის აქტუალურობა“. ბატონი აკაკი მიმოიხილავს პელასგებისა და ეტრუსკების საკითხს წინაქართველურ ტომებთან კორელაციაში. ავტორი ეყრდნობა სამეცნიერო მიმოქცევაში მიღებულ თვალსაზრისს, რომ პელასგებმა და მათმა მონათესავე ტომებმა უძველეს ხანაში წინა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე და სამხრეთ ევროპაში დიდი კულტურული ცენტრები შექმნეს. ჰეროდოტეს ცნობაზე დაყრდნობით, ის მიიჩნევს, რომ წინაბერძნული მოსახლეობის ენა, არსებითად, პელასგური ენა იყო, რომელიც ახლო ნათესაობაში იმყოფებოდა მცირე აზიის ენებთან. მისივე აზრით, ბალკანეთის ნ/კ-ის და მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა ერთ ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდა კულტურით, ენით და მკვეთრად განსხვავდებოდა როგორც ინდოევროპელებისგან, ისე სემიტებისგან.

საყურადღებოა ბ-ნი აკაკის მოსაზრებები ცალკეული ქართველური ტომების შესახებ; იგი ალბანებს, რომლებიც ბერძენი და რომაელი ავტორების მიხედვით კოლხებთან და იბერებთან ერთად მოიხსენიებიან, ევდოკიაზე დაყრდნობით, მეგრელებთან აკავშირებს. ნაშრომში განხილულია ჰენიოხების, მაკრონების, ფეაკების, დოლიონების ეთნოგენეზისის და ქართულ სამყაროსთან მიმართების საკითხი. მკვლევარი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს კოლხური დამწერლობის საკითხს. მისი აზრით, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ დაცული ინფორმაცია კვირბებზე არის „პირველი ცნობა ძვ. ქართველ ტომებში (კოლხებში) არსებული დამწერლობის შესახებ. ამ საკითხის ანალიზს მკვლევარი ბუნებრივად მიჰყავს კუნძულ კრეტამდე, სადაც იკვრება დიდი მედიტერანული სამკუთხედი: აიეტი – კირკე – პასიფაე (აიეტის და, მინოსის ცოლი და არიადნეს დედა). ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ პელასგურს, შესაძლოა, კავშირი ჰქონდეს კრეტულ A და B ხაზოვან დამწერლობებთან. ამიტომ მას პერსპექტიულად მიაჩნდა, მინოსური დამწერლობის შემდგომ კვლევა-ძიებაში იბერიულ-კავკასიური ენების – „პელასგურისა და მცირე აზიის ძველი ენების ცოცხალი გადმონაშთის“ ჩართვა. აკაკი ურუშაძემ შემდგომ გამოკვლევებშიც არაერთხელ აღნიშნა, რომ ბერძნული ენის ლექსიკურ შედგენილობაში შესული არაინდოევროპული ძირების იდენტიფიკაციისათვის აუცილებელია წინაბერძნული მოსახლეობის ენებთან „მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი იბერიულ-კავკასიური ენების ფაქტობრივ მონაცემთა გათვალისწინება“. ქართველოლოგიური და მედიტერანული კვლევებისთვის დიდად ღირებული მონოგრაფია „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ წელს, პროფ. ურუშაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ხელახლა გამოქვეყნდა გამომცემლობა „ლოგოსში“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის დამსახურება, რომელიც აკაკი ურუშაძეს ანტიკური ლიტერატურის ძეგლთა ქართულ ენაზე გადმოღების საქმეში მიუძღვის. ის ხაზგასმით აღნიშნავდა: „თარგმანის საქმე ხელოვნებაა. მას ხელი უნდა მოჰკიდოს იმ პირმა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ღრმად ფლობს მშობლიურ ქართულს და იმ ენას, საიდანაც თარგმნის“. თვითონ ბატონი აკაკი ჩინებულად ფლობდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, საიდანაც თარგმნიდა და ასევე ჩინებულად ფლობდა ქართულ ენას. პავლე მოციქული თარგმანის ხელოვნებას იმ ნიჭთა შორის ასახელებს, რომელსაც სულიწმინდა განუყოფს ხოლმე „თითოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს“ (I კორინ. 12, 10). ვინც აკაკი ურუშაძის თარგმანებს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ მათ სწორედ სულიწმიდის ბეჭედი აზის. მისი თარგმანები იმდენად სრულყოფილადაა შესრულებული, რომ მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ის ქართული ორიგინალური მწერლობის ნიმუშებს ეცნობა. ასეთია, მაგალითად, პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“თარგმანები, ქსენოფონტის „მოგონებები სოკრატეზე“, „სოკრატეს აპოლოგია“, ჰორაციუსის „პოეტიკა“. 1987 წელს ბატონმა აკაკიმ გამოსცა ლათინური ხატოვანი სიტყვა-თქმანი ქართული შესატყვისებით. საკუთრივ ხატოვანი თქმების, ფრაზეოლოგიზმების გარდა, წიგნში შესულია ფილოსოფიაში, იურისპრუდენციაში, მედიცინაში ხშირად ხმარებული ტერმინები, სპეციალური გამოთქმები, ცალკეული ლათინური სიტყვები. გარდა პროზაული თარგმანებისა, აკ. ურუშაძემ ლექსად გადმოიღო ბერძნული და რომაული პოეზიის არაერთი შესანიშნავი ნიმუში. 1999 წელს პროგრამა „ლოგოსმა“ გამოსცა „ილიადის“ I სიმღერის ურუშაძისეული პოეტური თარგმანი. თავად შესანიშნავი მთარგმნელი, ის მთარგმნელობითი საქმის დიდი ინიციატორი იყო. 1972 წელს უნივერსიტეტის რექტორის აკად. ილია ვეკუას მხარდაჭერით უნივერსიტეტში შეიქმნა „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“, რომლის პირველი თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი აკაკი ურუშაძე იყო. ითარგმნა და გამოქვეყნდა არაერთი ბერძენი და რომაელი ავტორის ნაწარმოები. ამ თარგმანთა უმეტესობა ბატონი აკაკის რედაქტორობით გამოქვეყნდა.

ბატონი აკაკი ყოველთვის დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდას, გატაცებით ასწავლიდა მათ ბერძნულ და ლათინურ ენებს. 1969 წელს ბატონმა აკაკიმ გამოსცა სახელმძღვანელო „ძველი ბერძნული ენა“, რომელსაც თსუ სამეცნიერო საბჭოს 1971 წლის დადგენილებით უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია მიენიჭა. იმის გამო, რომ აკაკი ურუშაძის „ბერძნული ენა“ ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელოა ძველ ბერძნულ ენაში როგორც კლასიკური ფილოლოგიის, ისე სხვა სპეციალობის სტუდენტთათვის, ის 1987 წელს მეორედ გამოიცა, ხოლო წლეულს, ავტორის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით განხორციელდა წიგნის მესამე გამოცემა.

როგორც კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ბ-ნი აკაკი მრავალი სასიკეთო საქმის წამომწყები იყო. მისი ძალისხმევით ფილოლოგიის ფაკულტეტს შეემატა არაერთი განყოფილება და გააქტიურდა რამდენიმე სპეციალიზებული მიმართულება. ის მუდამ ცდილობდა დაემყარებინა თუ განემტკიცებინა თბილისის უნივერსიტეტის კონტაქტები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან; ხშირად იყო ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზატორი. განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა მას მოსკოვის, ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგის), კიევის, რიგის, იენის და სხვა აკადემიურ წრეებთან. ის დიდ დროს უთმობდა სტუდენტთა მეცნიერულ ზრდას და სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობას. მისი ხელმძღვანელობით არაერთი საკვალიფიკაციო ნაშრომი მომზადდა, მათ შორის, ამ წერილის ავტორებისაც. მეცნიერი და პედაგოგი სტუდენტებისა და კოლეგების დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, სტუდენტებს მუდამ პატივისცემით ექცეოდა, მათ თქვენობით მიმართავდა და, ამასთანავე, მამობრივ სითბოს იჩენდა მათ მიმართ, ვისაც რაიმე უჭირდა.

პროფ. აკაკი ურუშაძის თაოსნობით უნივერსიტეტში დაიწყო გრიგოლ წერეთლის არქივის შესწავლა. მომზადდა გრ. წერეთლის გამოუქვეყნებელ შრომათა I ტომი, დაიწყო II-III ტომების დამუშავება. ცხოვრების უკანასკნელ წლებში აკაკი ურუშაძე მუშაობდა რომაული ლიტერატურის ისტორიაზე, გამოსაცემად ამზადებდა პლინიუს უფროსის ცნობებს საქართველოს შესახებ და პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“ III ნაწილს; დასრულა მონოგრაფიები „ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში“ (გამოიცა 1993 წელს) და „შუა საუკუნეების ლათინურენოვანი ავტორები საქართველოს შესახებ“. მეცნიერს ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ მძიმე სენით შეპყრობილს, აღარ დასცალდა.

დიდია აკაკი ურუშაძის ღვაწლი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. მან დიდებულად იმემკვიდრა თავისი მასწავლებლებისაგან, ჩვენი უნივერსიტეტის მესაძირკვლეთაგან ისეთი თვისებები, როგორიცაა კეთილსინდისიერი ცხოვრება და თავდადებული შრომა, თავმდაბლობა, ეროვნული კულტურისა და მეცნიერების ერთგული სამსახური. ამიტომაც ბატონი აკაკი ურუშაძის მსგავს პიროვნებებს ყოველთვის მადლიერების გრძნობით გაიხსენებენ მათი აღზრდილები. ჩვენი სურვილია, ახლანდელმა სტუდენტობამ და მომავალმა თაობებმაც იცოდნენ, რომ ჩვენ ღირსეული წინამორბედნი გვყავდნენ: Exempla docent – მაგალითები გვასწავლიან!

ᲗᲘᲜᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ,
პროფესორი, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი;

პროფესორები:
ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ, ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲖᲘᲐᲜᲘ, ᲒᲕᲐᲜᲪᲐ ᲙᲝᲞᲚᲐᲢᲐᲫᲔ, ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲪᲐᲜᲐᲕᲐ

ჩვენი აბდაუბდა უოფიერების დასალაგებლად

ახირებული კაცი სახელმწიფოებრივად ფიქრობს...

***ტყუილად** როდი ამბობენ – რამდენი კაციცაა, იმდენი აზრიაო, – ეს სრული ჭეშმარიტება გახლავთ, მით უფრო, როცა პიროვნების არაორდინარული პროფესიული ცოდნა-განათლება და ინტერესთა სფერო წარმოუდგენლად მრავალმხრივია. ერთი ასეთი კაცი, უდავოდ, ბატონი **გიორგი ყუფარაძეა** – პროფესიით მეტყევე-ინჟინერი, ამავდროულად, მწერალი – თოთხმეტი წიგნის ავტორი, მეცნიერი, გამომგონებელი, სპორტის ამაგდარი. მის მიერ გამოქვეყნებული წიგნია „სამყაროს კონსტიტუცია დანახული XXII საუკუნის გადასახედიდან“ და ნათარგმნია რამდენიმე უცხო ენაზე.*

პროფესორი გიორგი ყუფარაძე რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის უცხოელი წევრია, არის არაერთი გამოგონების ავტორი, რომელთაგან, თვალსაჩინოებისთვის, მხოლოდ ერთს დავასახელებ – „მჭლე თევზის გაცხიმიანების მეთოდი და მისგან „სათალისა“ და „სათალის ფარშის“ გამოშვება თუნუქის ქილებით. „გარდა ამისა, მის მიერ შექმნილი და დაპატენტებულია მისივე სახელობის საერთაშორისო ანბანის შვიდი სხვადასხვა ვარიანტი იმ მცირე ერებისთვის, რომლებსაც საკუთარი დამწერლობა არ გააჩნიათ.

მის კალამს ეკუთვნის მრავალი რომანი, პიესა, ფილოსოფიური ესეი, კულინარიული წიგნი, ასევე ლექსებისა და აფორიზმების კრებული. – 81 000 აფორიზმი!

ბატონი გიორგი თავის დროზე საქართველოს ჩემპიონი იყო კრივში, დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სახელოვანი სარაგბო კლუბების თბილისის „ლოკომოტივის“, ქუთაისის „დინამოს“, ამიერკავკასიის სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდის თბილისის ვვს-ის შექმნაში, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის გპი-ს აღდგენაში. ასევე მისი თაოსნობით გაერთიანდა საქართველოს ლელო-რაგბის ფედერაციები, რომლის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს კიდეც...

ყველაფერ ამას იმიტომ ვამბობ, რომ მკითხველს მიახლოებით მაინც შევუქმნა წარმოდგენა პროფესორ გიორგი ყუფარაძის ინტერესთა უფართოეს სპექტრზე, ამდენად სულაც აღარ იქნება გასაკვირი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და სოციალურ ყოფაში მის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების მრავალფეროვნება.

ბატონ გიორგი ყუფარაძესთან ჩემი შეხვედრა ახლად შემდგარი საპრეზიდენტო არჩევნებისა და უკვე შემდგარი ინაუგურაციის შემდეგ მოხდა, ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ ლაპარაკი ხელისუფლების ოპოზიციური ძალების უაღრესად მწვავე გამოსვლებს შეეხო, რის მიზეზი ამ პროცესის ვითომდა გაყალბებაა. მისი აზრით, სავსებით შესაძლებელია ჩვენში ამ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ დღის წესრიგიდან მოხსნა, რისთვისაც საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს, საამისოდ კი ქვეყნის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები იქნება შესატანი.

– არჩევნებთან დაკავშირებით პოზიცია-ოპოზიციას შორის გაუთავებელი დავების ერთხელ და სამუდამოდ დასამთავრებლად, საჭიროა ამომრჩეველთაგან ხუთ-ხუთკაციანი ჯგუფების შექმნა, რომელთაც ერთი პასუხისმგებელი პირი უხელმძღვანელებს, – ამბობს პროფესორი ყუფარაძე. – ასე ვთქვათ, „ხუთეულის“ წინამძღოლი თავის სამეურვეოში მინი-არჩევნებს დათქმული პირობით და განსაზღვრულ ვადებში ჩაატარებს და ბიულეტენებს საარჩევნო ადმინისტრაციას ჩააბარებს. იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე ამომრჩეველს ხმის მიცემას რომელიმე კონკრეტული კანდიდატისთვის აიძულებს და ამის დამადასტურებელი საბუთი იარსებებს, დამძალებელი პირი სოლიდური თანხით, ვთქვათ, 5000 ლარით უნდა დაჯარიმდეს. ამავე მეთოდით შესაძლებელი იქნება რეფერენდუმების ჩატარება და ხალხსაც სასაყვედურო აღარაფერი ექნება, თანაც ხმის მიმცემთა თითქმის 100-პროცენტიანი მონაწილეობა იქნება გარანტირებული.

ძალზე მნიშვნელოვანია პარლამენტის დეპუტატების, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის მქონე პირთა თემა. მხედველობაში მაქვს, უწინარესად, მათი ტყუილი დაპირებები, რომლებსაც არჩევნების დროს იძლევიან, შემდეგ კი პირწმინდად ავიწყდებათ. თითოეულ ასეთ ტყუილ დანაპირებზეც უნდა დაისაჯოს თაღლითობის მუხლით. მეორე პრობლემა კი დეპუტატების საკანონმდებლო ორგანოში მოქცევის კულტურაა, როცა ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან. ვფიქრობ, სასჯელი უარყოფითი ქულების დაგროვების შედეგად უნდა იყოს გამოტანილი. ამის აღსაკვეთად უნდა შემოვიღოთ საჯარიმო ქულების დარიცხვის სისტემა. გარკვეული ოდენობით ქულების დაგროვების შემდეგ კი, ასეთი უწესო დეპუტატი პარლამენტიდან უნდა დაითხოვონ. დეპუტატებისთვის ასევე სავალდებულო უნდა იყოს რეგიონებში ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და მათი პრობლემების გასაცნობად აუცილებლად თვეში ერთი დღის გამოყოფა.

ისიც უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება დეპუტატად ნებისმიერი კაცის არჩევა, არც 30 წლამდე პირის დანიშვნა აღმასრულებელ ან ადგილობრივ ხელისუფლებაში თანამდებობაზე. საიმისოდ, რომ დეპუტატს ამომრჩევლის წინაშე პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა ჰქონდეს, მას, გარკვეულ ასაკობრივ ცენზთან ერთად, აუცილებლად სამი შვილი მაინც უნდა ჰყავდეს. თუ კაცს ცხოვრებისეული გამოცდილება და პასუხისმგებლობის გრძნობა არა აქვს, ის ვერც კარგი დეპუტატი იქნება.

ქვეყნის მოსახლეობის მშვიდი და უსაფრთხო ყოფის უზრუნველსაყოფად მეტად მნიშვნელოვანია დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხი. იმის გამო, რომ მძიმე დანაშაულის ჩამდენების მიმართ სიკვდილით დასჯა ჩვენში კონსტიტუციითაა აკრძალული, ჩემი წინადადებაა შეიქმნას გარკვეული რეზერვაციები რეციდივისტებისთვის, მათთვის, ვინც სამჯერ გასამართლდება, სიცოცხლის ბოლომდე სარეზერვაციო არეალიდან ვერ გამოვლენ და... თავიც საკუთარი შრომით უნდა ირჩინონ.

რაც შეეხება ახალგაზრდა თაობას, ჩემი აზრით, საჭიროა სათანადო მოძრაობის, იგივე პიონერიის აღდგენა, რაც თავისთავად „მოწინავეს“ ნიშნავს (და არა საბჭოური გაგების თიკუნს!) ეს ჯანსაღი თაობების აღზრდაში დაგვეხმარება.

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირი დაიშალა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი მიწები ისევ ხალხს დაურიგდა, თუმცა კი მათი უმეტესი ნაწილი კარგა ხანია ტყუილად ცდება და დაუმუშავებელია. ამიტომ, ვფიქრობ, მათ, ვინც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს არ ამუშავებს, ისინი ისევ უნდა ჩამოერთვათ და სახელმწიფო მეურნეობებს უნდა გადაეცეთ. ჩვენ იმდენი ტერიტორია კი გვაქვს, რომ საკუთარი თავი მარცვლეულით მაინც უზრუნველვყოთ.

ეს, თავისთავად, დასაქმების პრობლემასაც წაადგება, რასაც ასევე სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით საწარმოთა შექმნა უნდა წაეშველოს. ამას კიდევ უნდა მიებას საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხი – ამის უფლება იმ ხალხს უნდა მიეცეს, ვინც ქვეყნის ეკონომიკაში არანაკლებ 100 ათას დოლარს დააბანდებს.

ამდენად, დარწმუნებული ვარ, თუკი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს დავამუშავებთ, ასევე კერძო მესაკუთრეთა ხელში გადასულ შენობა-ნაგებობებს ავამოქმედებთ, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავალს მოუტანს, ეკონომიკის სტაბილურ წინსვლას ეს გარემოება დიდად წაადგება.

მნიშვნელოვანია ეროვნული წიაღისეული სიმდიდრის გამოყენება – უკლებლივ ყველა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საბადოს დამუშავება (ვთქვათ, ისეთი, როგორიცაა ბორჯომის მინერალური წყალი), პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა ხორციელდებოდეს. ჯერ ერთი, რომ ამით უზრუნველყოფილი იქნება მისი ხარისხი, მეორეც ის, რომ ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობისთვის, რომელზეც კატასტროფულად ცუდ ზეგავლენას ახდენს აუარება ავტომანქანის გამონაბოლქვიც. საერთოდაც, საავტომობილო მოძრაობა და მისი ინტენსივობა, ასევე საგზაო წესების დაცვა კიდევ ერთი დიდი პრობლემაა. მის გადასაჭრელად მაქვს წინადადება, რომ თვის კენტ რიცხვებში პერსონალური ავტომანქანებით მოძრაობა ნებადართული ჰქონდეს მხოლოდ იმ ტრანსპორტს, რომელთა ნომრებიც კენტ რიცხვებზე მთავრდება, წყვილ დღეებში – წყვილი ციფრებით დამთავრებულებს (ამას უკვე იყენებენ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში). გარდა ამისა, მართვის უფლების აღებისას მძღოლი, ვთქვათ, ათასლარიან გაფრთხილებათა ტალონს უნდა ყიდულობდეს და ყოველ დარღვევაზე გარკვეული ოდენობის თანხა უნდა აკლდებოდეს. გაფრთხილების ტალონზე თანხის მთლიანად ამოწურვის შემდეგ კი მძღოლი ახალ ტალონს, ოღონდ უკვე გაორმაგებულ, გასამმაგებულ და ა.შ. თანხად უნდა იძენდეს. წესიერი მძღოლები კი, გარკვეული დროის შემდეგ, თავიანთ წინასწარ შეტანილ თანხას გარკვეული პროცენტული დანამატით უკან უნდა იღებდნენ.

საერთოდაც, ფულადი სესხების გაცემა მხოლოდ საბანკო დაწესებულებების გატარებით უნდა ხორციელდებოდეს და ეს, უწინარესად, კერძო პირებს შორის სასესხო ურთიერთობების შემთხვევაშიც უნდა ხდებოდეს.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად ყველა სამხედრო ვალდებული პირი ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სავალდებულო სამთვიან კურსებს უნდა გადიოდეს, რისთვისაც დამსაქმებელი კუთვნილ ხელფასს უნდა უხდიდეს.

დაბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია ხალხის უშუალო კონტაქტი სახელმწიფოს პირველ პირებთან, რისთვისაც, ვფიქრობ, ყოველთვიურად უნდა დაწესდეს მოქალაქეთა თუნდაც ფასიანი მიღების დღე.

ყველაფერი ეს და კიდევ ზოგიერთი სხვა ღონისძიება, ვფიქრობ, ნამდვილად წაადგება ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებასა და მოსახლეობის ყოფის ჯეროვნად გაუმჯობესებას.

ესაუბრა
ოთარ ტურაგელიძე

დასავლეთ საქართველოში თოვს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ინტენსიური თოვის გამო, საავტომობილო გზების რამდენიმე მონაკვეთზე მისაბმელიანი ტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა.

მათი ცნობით, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ35-კმ60 (ნაქერალას უღელტეხილი) მონაკვეთზე, ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილის საავტომობილო გზის კმ30-კმ161 მონაკვეთზე, საგლოლო-ჭიორა-ღების საავტომობილო გზაზე და ჭრებალო-ნიკორწმინდის საავტომობილო გზის კმ9-კმ15 მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ამინდი გაუარესდება

25-28 დეკემბერს საქართველოში მოსალოდნელია დროგამოშვებით ნალექიანი და ქარიანი ამინდი. 26-28 დეკემბერს ნალექი მოსალოდნელია უმეტესად თოვლის სახით, მაღალმთიან ზონაში ზოგან შესაძლებელია ქარბუქი. 24 დეკემბერს საქართველოში ჰაერის ტემპერატურა +5+10 გრადუსის ფარგლებშია მოსალოდნელი. 25 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა მოიმატებს +11+16 გრადუსამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კვლავ შენარჩუნებული იქნება +3+8 გრადუსი. 26-28 დეკემბერს, საქართველოში შედარებით ცივი და ნოტიო მასების გავრცელების ფონზე ჰაერის ტემპერატურა კვლავ დაეცემა და როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში +3+8 გრადუსის ფარგლებში იქნება.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲝᲚᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲐᲤᲓᲐ!

ᲑᲐᲢᲝᲜ Ჯ. ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔᲡ

ᲗᲥᲕᲔᲜᲛᲐ ღია წერილმა („ლიტერატურული საქართველო“ №42, 16.10. 2018) **გულწრფელი, შეწუხებული ადამიანის გულისტკივილი მაგრძნობინა. შევეცდები, ასევე გიპასუხოთ და ორიოდ შენიშვნა-მოსაზრებაც გაგიზიაროთ.**

ჯერ იმის თაობაზე, რაშიც გეთანხმებით: თავადვე წერთ: „მინდა ერთი რამ განვმარტო: ბატონი გურამი ალბათ გაკვირვებულია, მე რას გადამეკიდა ეს კაციო“. მართალს ბრძანებთ: გაოცებული გახლავართ. რატომ? რა შუაში ვარ? თურმე, ჩემდამი მომართვის მიზეზი ის ყოფილა, რომ ადრეულ წლებში წაგიკითხავთ ჩემი ერთ-ერთი წერილი ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე. სხვა უფრო მთავარი მიზეზი? „თქვენგან (ე.ი. ჩემგან. — გ.ბ.) დიდსულოვნად „აღიარებულმა“ და ერთი კაცისათვის ძლიერ მომეტებული დივიდენდებით ქართველებისთვის დაბრუნებულმა **„ვალმა“** გიკარნახათ, ამ გზას დადგომოდით — ჩემი მოკრძალებული პერსონისათვის ამგვარი წერილი მოგეწერათ. ამიტომ დაუხანებლად უნდა გკითხოთ: **ნუთუ, თქვენც იმ ჩემს თანატომელთა რიგში ჩადექით, ბატონო ჯემალ, რომლებიც მიკიჟინებდნენ, რა ვალი აქვს ებრაელობას ქართველებისა, ეს რა ვალი დაგვადეო. იმ გარემოებამ რომ სიტყვა ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ (ხაზგასმა ყველგან ჩემია. — გ. ბ.) ბრჭყალებში მოაქციეთ და მე თურმე „ძლიერ მომეტებული დივიდენდებით“** გამოვხატე ორი ერის ისტორიული თანაცხოვრება, ასეთი ფიქრიც გამიჩინა.

ჩემი ერის დამცრობილი ზნეობის რამდენიმე შვილი შეეცადა პიესა „ვალის“ დედაარსი მანეთებში გადაეტანა(!) და ებრაელობას ჩასძახოდნენ — საქართველოში, ისრაელში ჟურნალ-გაზეთებშიც წერდნენ **აი,რა ვალი დაგვადო ბათიაშვილმაო,** მე კი მიმაჩნია: ერები, უთუოდ არიან ერთმანეთისაგან დავალებულნი — კეთილგანწყობის, თანაარსებობის და თუნდაც გულთბილი ღიმილის გამო. ნაწარმოების არსი თავადაც კარგად მოეხსენებოდათ, მაგრამ ვერ ჰგუობდნენ იმ ემოციას, ქართველი, თუ ებრაელი მაყურებლის კეთილგანწყობას, რომელსაც „ვალი“ ქმნიდა და ავტორისადმი პატივისცემას განაპირობებდა, ამიტომ ცდილობდნენ ებრაელთა შორის მაინც დავეკნინებინეთ. არ გამოუვიდათ.

ჩემთვის დივიდენდები არავის მოუთხოვია და არც მე გამიცია, ბატონო ჯემალ, ეს იმათი შეთხზულია, ვისაც პიესის პოპულარობა გულს უკოდავდა, თორემ საქართველოში რამდენი „ვალზე“ უკეთესი პიესა დაწერილა (იმავე ავტორის მიერაც კი!), ვინ მოთვლის! შეწუხებული ბრძანდებით იმის გამო, რომ თელ-ავივში საქართველოსა და ლიტვის კალათბურთელთა მატჩს არ დასწრებია და ქართველებისათვის თანადგომა არ გამოუხატავს ისრაელში რეპატრირებულ ქართველ ებრაელობას. მიუხედავად იმისა, რომ ფრიად ვეჭვობ, ამ მატჩზე ჩვენი ებრაელობა არ ყოფილიყო, თქვენს გულისტკივილს სავსებით ვიზიარებ. სპორტით დიდად დაინტერესებული არ გახლავართ, განსხვავებით სიჭაბუკის წლებისგან, რეპორტაჟებს ათასში ერთხელ თუ შევავლებ თვალს, ამიტომ არც ამ შეხვედრის თაობაზე ვიცოდი და არც ჩვენი კალათბურთელების გამარჯვებაზე. ჩემი მთავარი საფიქრალი —ქართული მწერლობა, დრამატურგია, თეატრი ათგზის, ასგზის უფრო მაღელვებს და მიზიდავს, ვიდრე ნებისმიერი სპორტული ასპარეზობა. აი, ქართული თეატრის ისრაელში საგასტროლოდ თუ თეატრალურ ფესტივალზე გამგზავრება კი მაღელვებს. დამემოწმებით, ბ-ნო ჯემალ, თანამედროვე ქართულმა თეატრმა ისეთ შემოქმედებით სიმაღლეს მიაღწია, მსოფლიომ ისე აღიარა, ჩემი გვერდში ამოდგომა, ქომაგობა არაფრად სჭირდება, მაგრამ მე მაინც ვერ ვისვენებ: თეატრს თან მივყვები, თუ არ მივყვები, ისრაელში გახლავართ, თუ თბილისში ვრჩები, ტელეფონზე ვარ „ჩამოკიდებული“, ვისთანაც სიტყვა მეთქმის, ვაცნობებ ქართული თეატრია ჩამოსული, სპექტაკლები არ გამოგრჩეთ-მეთქი. შედეგი? დიდი მადლობა გადაუხდიათ: არ ვიცოდით, რა კარგია, რომ შეგვატყობინე, თორემ გამოგვრჩებოდაო. კალათბურთი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი ინტერესების რკალში არ ექცევა. არც შემიტყვია, ჩვენები ისრაელში თუ თამაშობდნენ. კიდეც გამეგო, არც არაფერს მოვიმოქმედებდი. სწორედ იმ მიზეზის გამო, რაც უკვე მოგახსენეთ, მეორეც იმიტომ რომ: არის ერთი ვინმე სპორტული კომენტატორი ჯ.ხუხაშვილი, როცა დაისაჭიროებს, ადამიანების დარაზმვა არა მხოლოდ თბილისში, ისრაელშიც ძალუძს. ჩემს წინააღმდეგ წერილებსაც შეათითხინებს, სასამართლოში მიჩივლებს: ბათიაშვილმა ნარკოტიკებით ვაჭრობა დამაბრალა და ბოდიში მომიხადოსო. ექვსგზის მიჩივლა, ან სხვათა სახელით შეიტანა სარჩელი ისრაელშიც და საქართველოშიც, მაგრამ ჩემგან ბოდიში მაინც ვერ მიიღო.

ეს უამური ამბები იმიტომ გავიხსენე, რომ მეთქვა: თუ ეს კაცი მოიწადინებდა, თელ-ავივში საკალათბურთო მატჩზე ქართველ ებრაელთა მობილიზებას წინ რა დაუდგებოდა! არ ვიცი, მოიწადინა, თუ არა — თქვენ უკეთ გეცოდინებათ!

როგორც ჩანს, ძლიერ გიყვართ სავარდო და სამაისო ქუთაისი — სიყვარულით, ამაღლებულად წერთ მასზე, ქუთათურ ქართველებსა თუ ებრაელებზე, ქალაქში ადამიანებს, ერებს შორის ურთიერთობის ატმოსფეროზე. თურმე ჩვენი დიდებული პროზაიკოსი ჯემალ ქარჩხაძე თქვენი კლასელი ყოფილა! ჯემალი არა მხოლოდ ასეთი პროზაიკოსი იყო (იყო და იქნება ქართულ პროზაში!), პიროვნებაც!

თუმცა, თქვენ მიერ ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძისადმი გამოვლენილ უპატივცემულობაზე, ვერაფერ კარგს ვერ მოგახსენებთ, ეროსისა და კოტეს გვერდით და ტოლად მოიხსენიო ჯ. ხუხაშვილიც, ამ ორი კორიფის უპატივცემულობა და შეცდომაა! ამ ჩინებულ მოღვაწეებთან ხუხაშვილის გათანაბრებამ მაფიქრებინა: ან ეროსისა და კოტეს ფასი არ იცის, ან ვიღაცამ ასე ჩასჩურჩულა-მეთქი. ვხვდები, ეს „ვიღაც“ ვინც არის. და თუ ეს „ვიღაც“ თავს უფლებას აძლევს, ათი წლის განმავლობაში ჩემს წინააღმდეგ ფარულად თუ თვალხილულად ჩადენილი უზნეო ქმედებანი არ იკმაროს და როგორც კი ტრიბუნაზე შედგება (აგერ, გუშინაც კი!), ჩემზე კვლავაც ნეგატიურად ისაუბროს (რა ქნას, ჩემგან არა მხოლოდ ბოდიშის მოხდას ვერ მიაღწია, ვერც იმას, საქართველო დამეტოვებინა), ჩემი მოსაზრებაც ისმინოს: იმდენი იძახა, ბათიაშვილი საქართველოს მტერია, ქართველები სძულსო, მალემრწმენებმა არიქა, ეს თუ იხსნის საქართველოსო და, „საქართველოს სიყვარულის პრიზი“ უბოძეს? დახეთ, რა ხდება, ბ-ნო ჯემალ, თქვენ წერთ „მომეტებული დივიდენდები“ გაეცითო, მაგ „საქართველოს სიყვარულის პრიზის “ მფლობელმა კი, რახან საქართველო ვერ დამატოვებინა და ჩემგან ვერც ბოდიში მიიღო, ქვეყანა ააწრიალა, არც მწერლები მოასვენა, არც პარლამენტარები და არც მსახიობ-რეჟისორნი, ბათიაშვილი საქართველოს მტერია, ქართველები სძულსო. თქვენს მიერ მის გვერდით დასახელებული ჩინებული შემოქმედი ჯემალ სეფიაშვილი, რომელიც ასე უმღერის საქართველოს, არ არის პრიზის მფლობელი და ეგ არის? ნეტა, ვინ აძლევს თავს უფლებას, ასეთი პრიზები ჩამოარიგოს?

კიდევ ერთი შენიშვნა, ჯემალ ბატონო: ებრაელობაზე ისეთი წარმოდგენა გქონდეთ, როგორიც გაქვთ, თქვენი უფლებაა, მაგრამ მკითხველის მოტყუება, უკადრისი საქმეა: ებრაელი ერის უმადურობაზე საუბარს კვლავაც რომ გადაწყვეტთ, დიდად გარგებდათ, სათანადო ლიტერატურაში ჩაგეხედათ, თორემ სიცრუის, ტყუილის გამავრცელებელი კაცის სახელს დაიმსახურებთ: ებრაელობა უმადურია, იადვაშემის მუზეუმში საქართველოზე არაფერი არ არისო, წერთ. ძალიან კარგია, რომ არ არის და არც იქნება, ბატონო ჩემო: იადვაშემის მუზეუმი მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფის მემორიალია. ჩვენ კი — საქართველო — ღმერთმა დაგვიფარა ამგვარი მსხვერპლისაგან, ხოლო რაც შეეხება თქვენს მიერ „ყბადაღებულად“ დახასიათებულ 26 საუკუნეს, მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღია, ზოგიერთმა იგი მართლაც გახადა ყბადაღებული სპეკულაციის საგანიც კი და არც უწყიან: 26 საუკუნის წინათ ებრაელები მხოლოდ საქართველოში არ მოსულან, მრავალ ქვეყანაში მიმოიფანტნენ და დღეს რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა ჟღერდეს, მუსლიმურ ქვეყნებშიც კი ნორმალურ ცხოვრებას ეწეოდნენ. საქართველოში მათ მოიტანეს მონოთეიზმი, ჰპოვეს მშვიდობა, შრომისა და სიცოცხლის უფლება — ამ ქვეყნის ღვიძლი შვილები გახდნენ და ეს ქვეყანა, ხალხი უფასებდა და აფასებს. სხვა რომ არაფერი გავიხსენოთ, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ მიწაზე ებრაელთა მოსვლა-დამკვიდრების თარიღი აღინიშნა, ბიზნესმენმა, დიდმა ქველმოქმედმა ბიძინა ივანიშვილმა კი შემორჩენილი სინაგოგები აღადგინა.

ებრაელი ერის უმადურ ერად გამოცხადება საწყენია, ძლიერ საწყენი და ვერ მომიწონებია!

სხვა შენიშვნებისაგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, ვიცი, „საქართველოს პრიზის მფლობელი“ არ მოისვენებს, თუ თქვენ არ იკადრებთ, პასუხს სხვას დააწერინებს, ან ისევ საგანგებო გაზეთს მომიძღვნის, დღეს მას ყველაფერი შეუძლია...

კიდევ ერთი გარემოების თაობაზე:

ყმაწვილობის წლებიდან ვარ დაკავშირებული „ლიტერატურულ საქართველოსთან“. ჯერ უზენაესს, მერე კი დიდებულ შემოქმედსა და პიროვნებას — იოსებ ნონეშვილს ვუმადლი, ამ გაზეთში სამუშაოდ რომ მივედი, აქ დავიწყე სამსახური, როგორც ლიტერატურულმა მუშაკმა. ნახევარი საუკუნეა ამ გაზეთის ფურცლებზე ვიბეჭდები.

დღეს, როდესაც ამ გაზეთში იბეჭდება ჯერ თითიდან გამოწოვილი ებრაელობის აუგად მომხსენიებელი თქვენი სტატია, მერე ბრალს გვდებენ „მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებასა“ და მისგან გამომდინარე საქართველოს (არა მხოლოდ საქართველოს, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეული საქართველოს ყოფაა), თავსდატეხილ უბედურებაში (№46, 14. XII), **მე, დიდი ქართული ლიტერატურის ჰუმანისტურ იდეალებზე აღზრდილი ებრაული წარმოშობის მწერალი, თავს ვერ მივცემ უფლებას, ვიბეჭდებოდე ამ გაზეთის ფურცლებზე.**

გაზეთს თქვენს ებრაელთა გამკილავ პუბლიკაციაზე თავშეკავებული მოსაზრება გადავუგზავნე, მაგრამ 18 დეკემბერს მივწერე, რომ აღარ მაქვს სურვილი, იგი დღევანდელ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდოს. **დღევანდელ „ლიტერატურულ საქართველოსთან“ კავშირის გაწყვეტა საბოლოოდ გადამაწყვეტინა 46-ე ნომერში დაბეჭდილმა ანტისემიტურმა სტატიამ (რომლის ავტორიც ამგვარ ქმედებაში ამავე გაზეთის ფურცლებზე ადრეც ვამხილე),** როგორც ჩანს, გაზეთმა გეზი იცვალა...

„ლიტერატურულ საქართველოსთან“ თანამშრომლობას გავაგრძელებ მაშინ, როცა ეს გაზეთი მწერლობას დაუბრუნდება.

იმედს გამოვთქვამ, ეს დრო არ დააყოვნებს!

ხელისუფლების საყურადღებოდ უნდა დავსძინო: ვერ გაამართლებს იმის თქმა, რომ პრესა თავისუფალია და მის საქმიანობაში არ ვერევითო. „ლიტერატურული საქართველო“ მხოლოდ პრესა არ არის, იგი დიდი ქართული კულტურის ნაწილია. კულტურას კი მოვლა უნდა!

სხვაფრივ, კეთილად ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემო!

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲪᲘᲜᲐᲗᲔᲚᲔᲑᲘ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲥᲔᲪᲑᲐᲡ, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲯᲐᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲧᲝᲚᲑᲐᲘᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ�თᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ „ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲪᲘᲜᲐᲗᲔᲚᲔᲑᲘ“ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲠᲘᲖᲝᲓᲔᲑᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲬᲚᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ღონისძიებაში მონაწილეობენ დეკანოზი ბიძინა (გუნია), ზურაბ ერქვანია, ელდარ გეწაძე, ლევან ღვინჯილია, დავით საყვარელიძე, გიორგი ბალახაშვილი. აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვოკალური ჯგუფი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები თემურ გუგუშვილი, თემურ ელიავა, ლამარა გოგლიჩიძე, ლელა უსეინაშვილი, 2018 წლის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი ლექსო კაპანაძე და 195-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ანა ქაშიბაძე.

საღამოზე წარმოდგენილი იყო სვეტლანა ქეცბას, დიმიტრი ჯაიანისა და ჯუმბერ ყოლბაიას მოღვაწეობის ამსახველი სურათების გამოფენა. საღამოს არქიმანდრიტი ადამ ახალაძე უძღვებოდა.

კგბ-ს აგენტების კარტოთეკაში

მართლმადიდებელი ეკლესიის რამდენიმე სასულიერო პირის მონაცემები აღმოჩნდა...

ლატვიის ეროვნულმა არქივმა „ КГБ-ს შესახებ კანონში“ შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, რომელიც საბჭოთა სპეცსამსახურების არქივების გასაჯაროებას გულისხმობს, ქსელში КГБ-ს საბუთები განათავსა.

ოფიციალურ საიტზე მითითებულია, რომ მიმდინარე თვეში გამოქვეყნებული კარტოთეკა ძალზე შეზღუდულ ანალიტიკურ შესაძლებლობებს იძლევა ოპერატიული საქმეებისა და სხვა მასალების გარეშე, რომელთა პუბლიკაციაც მომავალი წლის მაისში იგეგმება. მხოლოდ ამ მასალებს შეეძლება, პასუხი გასცეს კითხვას სავარაუდო აგენტების საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ხარისხის შესახებ.


Псевдоним Читатель 4-615
№ 20765 личн. дела № архива
1. Фам. Кудрявцев
2. Имя Александр
3. Отч. Иванович
4. Год рожд. 1939 Дата рожд. 3 окт.
5. Место рожд.
6. Адрес г. Рига, ул. Кирова 69-5
Катег. агент
Когда заверб. 26.01 1982 г.
Кем заверб.
фамилия
5 отдел 4 отделение
КГБ ССР
орган
Оформить личное дело и взять на учет
Нач. отдела
подпись
фамилия
7. Место работы и должность священник православной церкви
8. Парт. б/п
9. Нац. русский 10. Гражд. СССР
11. Образов. высшее
Latvian National Archives (Official publication)

ლატვიის ყოფილი სსრ-ის КГБ-ს უკვე გამოქვეყნებულ აგენტურულ კარტოთეკაში 1939 წელს დაბადებული ალექსანდრე ივანეს ძე კუდრიაშოვის მონაცემები აღმოჩნდა, რომლებიც სრულად ემთხვევა მოსკოვის საპატრიარქოს ლატვიის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლის, რიგისა და სრულიად ლატვიის მიტროპოლიტის ბიოგრაფიულ მონაცემებს.

როგორც აგენტურულ ბარათშია აღნიშნული, კუდრიაშოვმა КГБ-სთან თანამშრომლობა 1982 წელს დაიწყო და მიიღო ფსევდონიმი „მკითხველი“. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელმა მიტროპოლიტმა ალექსანდრემ დიაკვნის სტატუსი 1982 წელს მიიღო.

კარტოთეკაში აღმოჩნდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი იერარქის – ივანე მიროლუბოვის ბარათიც. ფსევდონიმ „ანატოლის“ მქონე აგენტის მონაცემები სრულად ემთხვევა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თანამშრომლის, სინოდალური კომისიის მდივნის მონაცემებს. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი რიგის მკვიდრია.

ზემოთქმულთან დაკავშირებით მოსკოვის საპატრიარქოს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

სულ აგენტურული კარტოთეკა 10612 ბარათს ითვლის. სხვებთან ერთად, მასში სსრკ საკალათბურთო ნაკრების კაპიტნის ვალდის ვალტერსის, დაუგავპილსის ყოფილი მერის რიხარდ ეიგიმსის, მხატვარ მაია ტაბაკისა და წარსულში ლატვიის ყველაზე მდიდარი ადამიანის – ალექსანდრე ლავენტის მონაცემებიც აღმოჩნდა.

ბარსელონაში ტერაქტებს გეგმავენ?!

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის მოქალაქეებს მოუწოდებს ყურადღებით იყვნენ ბარსელონის ცენტრში ტრანსპორტით გადაადგილებისას, საშობაო და საახალწლო დღესასწაულის დროს ტერორისტული თავდასხმების რისკის გამო.

უწყება მიიჩნევს, რომ ტერორისტები შესაძლოა, თავს დაესხნენ სადღესასწაულოდ შეკრებილ ადამიანთა ჯგუფებს იმ რაიონებში, რომლებიც ტურისტებში განსაკუთრებით პოპულარულია, მათ შორის, რამბლას საფეხმავლო ქუჩაზე, სატრანსპორტო კვანძებსა და სხვა საჯარო ადგილებში.

იგივე გაფრთხილება გამოაქვეყნა ესპანეთში აშშ-ის საელჩომ ანდორასთან დაკავშირებითაც, თუმცა იქ დააკონკრეტეს, რომ საქმე ეხება არა ტერორისტული საფრთხის ზრდას, არამედ ტურისტებს უბრალოდ შეახსენებენ ესპანეთში საფრთხის დონის მომატების შესახებ.

აშშ-ის მთავარი საშობაო ნაძვის ხე ილუმინაციის გარეშე დარჩება

აშშ-ის მთავარი საშობაო ნაძვის ხე, რომელიც თეთრი სახლის წინ არის განთავსებული, აშშ-ის მთავრობის მუშაობის დროებითი შეჩერების პერიოდში, ილუმინაციის გარეშე დარჩება.

გამოცემის ინფორმაციით, მთავრობის მუშაობის დროებითმა შეჩერებამ გაართულა ილუმინაციის შეკეთება, რომელიც გასულ პარასკევს დაზიანდა, როდესაც უცნობი მამაკაცი ნაძვის ხეზე აძვრა.

„მთავრობის მუშაობის ნაწილობრივ შეჩერების პერიოდში თეთრი სახლის ვიზიტორების ცენტრი და საშობაო ნაძვის ხის მოედანი დახურული იქნება“, – განაცხადეს აშშ-ის პარკების ეროვნულ სამსახურში.

საშობაო ნაძვის ხეზე ილუმინაცია 28 ნოემბერს აშშ-ის პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ აანთეს. ილუმინაციების საერთო სიგრძე 7 კილომეტრს აღწევს, ხოლო ნაძვის ხის სიმაღლე – 8,5 მეტრს.

მაკრონი „ყვითელ ჟილეტებს“ ემუქრება

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი „ყვითელი ჟილეტების პროტესტის“ დროს არეულობის მომწყობებს მკაცრი სასჯელით ემუქრება. საფრანგეთის პრეზიდენტმა შინაგან საქმეთა მინისტრს დაავალა, რომ ხისტი ზომები მიიღოს იმ პროვოკატორების მიმართ, ვინც პარიზის ქუჩებში ქაოსი მოაწყო და შენობები დაარბია.

მაკრონმა ყვითელი ჟილეტების აქციის მონაწილეებს სიმშვიდისკენ და გაერთიანებისკენ მოუწოდა. კვირას ყვითელი ჟილეტების პროტესტის მეექვსე აქტი პარიზში ისევ პოლიციასთან შეტაკებებით დასრულდა. მაკრონის ანტიკრიზისული გეგმით უკმაყოფილო ხალხმა ელისეს სასახლესთან სცადა მიახლოება, თუმცა ამის საშუალება მათ პოლიციამ არ მისცა.

სამართალდამცველებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები გამოიყენეს. მომიტინგეები სამართალდამცველებს ძალის გადამეტებაში ადანაშაულებენ.

გავრცელდა სკანდალური კადრები, სადაც დაპირისპირების დროს ერთ-ერთმა პოლიციელმა მომიტინგეებს ცეცხლსასროლი იარაღიც დაუმიზნა. შინაგან საქმეთა უწყებაში აცხადებენ, რომ ამ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაწყებულია.

მიწასთან გასწორებული ინდონეზია

ინდონეზიაში დამანგრეველი ცუნამის შედეგად დაკარგულებს ამ დრომდე ეძებენ. ბოლო ინფორმაციით, დაღუპულია 222 ადამიანი, დაშავებულია – 843, დაკარგულად ითვლება 30 ადამიანი.

ცუნამის მიზეზად ვულკან ანაკ-კრაკატაუს ამოფრქვევის შედეგად წარმოქმნილი წყალქვეშა მეწყერი სახელდება. სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, როგორ ანგრევს ცუნამი პოპულარული ინდონეზიურ პოპ ბენდის Seventeen-ს კონცერტზე სცენას და ბენდის წევრებს კლავს. ინდონეზიის სანაპირო ქალაქები დამანგრეველმა ცუნამმა მიწასთან გაასწორა.

მაროკოში ტურისტ გოგოებს თავები მოჰკვეთეს

მაროკოს სამართალდამცავმა ორგანოებმა 9 პირი დააკავეს, რომლებიც სავარაუდოდ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წევრები არიან და ეჭვმიტანილები არიან ნორვეგიელი და დანიელი ტურისტი გოგონების მკვლელობაში.

როგორც Morocco World News იტყობინება, ცენტრალური ბიუროს თანამშრომლებმა ეჭვმიტანილები სხვადასხვა ქალაქებში დააკავეს. მაროკოს ხელისუფლების განცხადებით, მათგან რამდენიმე აცხადებს, რომ ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ იდეების მიმდევარია. ალპინისტი გოგონების ცხედრები მაროკოში, ტუბკალის მთებში, მათ კარვებთან ახლოს 17 დეკემბერს აღმოაჩინეს. ტურისტების სიკვდილის მიზეზი ყელზე მიყენებული ნაკვეთი ჭრილობა გახდა.

მოკლული ტურისტები აღმოჩნდნენ 24 წლის დანიელი ლუიზა ვესტერაგერ იესპერსენი და 28 წლის ნორვეგიელი მარენ უილანდი. მაროკოს ხელისუფლება მომხდარ ფაქტს ტერორისტულ აქტად აფასებს.

მაროკოს პოლიციის ინფორმაციით, ცხედრების აღმოჩენის შემდეგ რამდენიმე საათში ინტერნეტში გამჩნდა ვიდეო, რომელზეც ასახული იყო ტურისტების თავის კვეთის სცენა. ვიდეოკადრების ნამდვილობა ჯერ დადგენილი არაა, თუმცა ქალი, რომელსაც ჩანაწერში თავს ჭრიან, ნამდვილად ჰგავს ტურისტს, რომლის ცხედარიც მაროკოში აღმოაჩინეს. ჩანაწერში ისმის მამაკაცის ხმაც, რომელიც ევროპელებს „ალაჰის მტრებს“ უწოდებს და იძახის „ეს თქვენ სირიის გამო. ასეთია უფლის ნება“

არაბული მაღრიბის ზონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაროკო შედარებით უსაფრთხოდ ითვლებოდა. რადიკალი ისლამისტების მხრიდან ტურისტებზე ბოლო ყველაზე ცნობილი თავდასხმა 2011 წლის აპრილში მოხდა, როდესაც მარაკეშის რესტორანში მომხდარ აფეთქებას 17 ადამიანი ემსხვერპლა.

◎ ერიჰა!

მზეს გავეცალოთ დროზე, მზეს!

ანუ როგორ აპირებდნენ საბჭოთა კავშირში დედამიწის... ვარსკვლავმფრენად გადაქცევას

ამჟამად მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში ყველაზე პროგრესულ და გაბედულ ჩანაფიქრად ამერიკელი ილონ მასკის პროექტს აღიქვამენ, რომელმაც კოსმოსში წითელი სპორტული ავტომანქანა გაუშვა. არადა, 1950-იან წლებში საბჭოთა კავშირში მას აშკარად ირონიული ღიმილით აღიქვამდნენ, რადგან იმხანად გასაიდუმლოებულ ლაბორატორიებში შეუდარებლად მასშტაბურ პროექტებს ამუშავებდნენ.

ამ შემთხვევაში ლაპარაკია ვარსკვლავთშორისი კოსმოსური ხომალდის შექმნაზე: მისი მასა 5,9 სიქსტილიონი ტონა, ეკიპაჟი ორი ათეული მილიარდი კაცი იქნებოდა, თავად კი თერმობირთვულ გაწევაზე იმუშავებდა! ამ ხომალდზე საარსებო პირობები ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც დედამიწაზეა. ამის ახსნა ადვილად შეიძლება იმ მარტივი მიზეზით, რომ ეს ვარსკვლავთმფრენი... თავად დედამიწა უნდა გამხდარიყო!

ამ აშკარად თავხედური იდეის ავტორი საბჭოთა მეცნიერი, საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი, გერმანიის ფიზიკოსთა საზოგადოების წევრი **გიორგი პოკროვსკი** იყო. მან თავისი ფანტასტიკური პროექტის სავსებით დასაბუთებული ახსნა წარმოადგინა, თუ რატომ იყო საჭირო დედამიწის მზის ორბიტიდან მოწყვეტა და გალაქტიკაში „თავისუფალ ნაოსნობაში“ გამგზავრება: ყვითელი ჯუჯა, იგივე G2 კლასის ვარსკვლავი სახელად „მზე“, ნაკლებად შესწავლილ ობიექტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც კაცობრიობისთვის უაღრესად „არასასიამოვნო“ სიურპრიზების მოტანა შეუძლია. ვთქვათ, შესაძლოა, ჩაქრეს, ანდა მოულოდნელად გამოსხივების ინტენსივობა გაზარდოს. მაშინ კი სიცოცხლე დედამიწაზე სასიკვდილო საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. მაგრამ ადამიანმა აუცილებლად სათანადოდ უნდა უპასუხოს ბუნების გამოწვევას!

თვალის ერთი გადავლებით, ამ პროექტით გიორგი პოკროვსკიმ აშკარად არა თავის შესაფერის საქმეს მოჰკიდა ხელი. მისი საინჟინრო სპეციალობა აფეთქებები იყო, ბოლოს სსრკავშირის თავდაცვის მე-6 სამმართველოს სამეცნიერო კონსულტანტი გახლდათ, რომელიც ბირთვულ აფეთქებებს კურირებდა. კოსმონავტიკის ისტორიკოსი ანტონ პერვუშინი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1944 წელს მან აფეთქების მეშვეობით ორბიტაზე ლითონის თანამგზავრის გაყვანის იდეა წამოაყენა. მართალია, ხერხი ერთობ ეგზოტიკური კი იყო, მაგრამ სავსებით რეალური... ათი წლის შემდეგ კი მან დასაბუთებულად აჩვენა, რომ მთელი დედამიწის უზარმაზარი კოსმოსური ხომალდად გადაქცევა სავსებით რეალური ამოცანაა.

მისი აზრით, **სამხრეთ პოლუსზე, რამდენიმე წყალბადის მუხტის აფეთქებით უზარმაზარი კრატერი შეიქმნება, რომელიც შიდაწვის ძრავის ერთდროულად ამრეკლავიც და წვის საკანიც გახდება. აღნიშნული ამრეკლავის ფოკუსში კი, ატომურ აფეთქებათა მეშვეობით, ატომური საწვავი და საბალასტო ნივთიერება — წყალი მიეწოდება. რეაქციის ზონიდან ატომური საწვავის დაშლის პროდუქტებისა და ჟანგბადად და წყალბადად დაშლილი წყლის უმძლავრესი ნაკადი გამოიფრქვევა. ამ ჭავლის რეაქცია მილიარდობით ტონის სიმძლავრის გამწევ ძალას წარმოშობს და დედამიწას უბიძგებს. ასიათასობით აფეთქების გამეორების შემდეგ დედამიწა დადგენილი მიმართულებით საჭირო სიჩქარით გადაადგილდება.**

მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ამ მეთოდით შესაძლებელია მხოლოდ დედამიწის მზის ორბიტიდან მოწყვეტა და კოსმოსში ერთადერთი მიმართულებით გადაადგილება. კოსმოსში მანევრირებისთვის კი ინჟინერმა პოკროვსკიმ „ანტარქტიკული“ ძრავის „ეკვატორიულით“ შევსების წინადადება წამოაყენა: **მრავალი მსგავსი ძრავა ასევე ტროპიკებისა და ეკვატორის ზონაში უნდა განთავსდეს. ეს ძრავები მორიგებით უნდა მუშაობდნენ: ერთი საკუთრივ სამოძრაოდ, სხვები კი ბრუნებისა და მანევრებისთვის.** ამდენად, გამოდის, რომ პროექტის რეალიზაციისთვის საჭირო იქნება პოლუსსა და ტროპიკებში ასობით ათასი განუწყვეტელი ატომური აფეთქების მოწყობა. პოკროვსკი ამის პოტენციურ რისკებს ითვალისწინებდა: სერიოზული ამოცანაა დედამიწის ატმოსფეროს დაბინძურებისა და ძრავების რეაქტიული ჭავლების მიერ მისი ჩათრევისა და სივრცეში გატყორცნისაგან დაცვა.

მაშინ პროექტი, როგორც იტყვიან, „მარტო ქაღალდზე“ დარჩა, მაგრამ 1996 წელს ამერიკელმა ფიზიკოსმა და ინჟინერ-ენერგეტიკოსმა **რობერტ ზუბრინმა** მსგავსი იდეების გახმოვანება დაიწყო. სწორედ მაშინ აღმოჩნდა, **რომ ყოველ მილიარდ წელიწადში მზე 10 პროცენტით უფრო ცხელი და კაშკაშა ხდება.** მაშასადამე, მძვინვარე ცეცხლში დედამიწის დაღუპვისგან გადასარჩენად, სულაც არ არის საჭირო მისი ორბიტიდან მოწყვეტა და ვარსკვლავთა გაურკვეველ სიშორეში გაყვანა. **საამისოდ საკმარისია დედამიწის ორბიტის მზისგან მანძილის 5 პროცენტით გადაწევა. ამის მისაღწევად კი საჭიროა დედამიწის სიჩქარით წამში 1200 მეტრით მომატება, რისთვისაც მხოლოდ ასიოდე ბირთვული აფეთქება გახდება აუცილებელი.**

ახლა ფუტუროლოგები იმასღა ფიქრობენ — ვინ გაბედავს პირველი ამ იდეის განხორციელებას?

დალი ხუნდაძე



◎ გენეტიკური გარღვევა

ბავშვი... დაკვეთით

ჩინეთში შეცვლილი, გადაადგილებული, რედაქტირებული გენომით პირველი ბავშვები დაიბადნენ, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან შესაძლებელი იქნება ისეთი პატარის გაჩენა, რომელსაც წინდაწინ „დაკვეთილი“ თვისებები და ფიზიკური პარამეტრები ექნება.

„გენომის ტექნოლოგიური რედაქტირების პრობლემას მეცნიერები მთელ მსოფლიოში ბოლო ათი წლის განმავლობაში უაღრესად ინტენსიურად იკვლევენ, — აცხადებენ კომპანია „გენოტიკის“ სპეციალისტები — ყველაზე პერსპექტიულად ტექნოლოგია CRISPR\Cas9 არის მიჩნეული, რომელიც გენების არასწორი თანმიმდევრობის გამოსწორების საშუალებას და ამ გზით მემკვიდრეობითი დაავადებების მკურნალობის შესაძლებლობას იძლევა“.

სწორედ ის გამოიყენა ადამიანის გენომის რედაქტირებისთვის ჩინელმა სპეციალისტმა **ძიანკუი ხემ,** რომელმაც კოლეგებს დიდად გაუსწრო და რედაქტირებული ემბრიონი მშობიარობამდე მიიყვანა. ამის შედეგად შიდსისადმი იმუნიტეტის მქონე გოგონა დაიბადა. იმის მიუხედავად, რომ მრავალი მკვლევარი ამ ფაქტს ეჭვქვეშ აყენებს, ვინაიდან დამოუკიდებელ ექსპერტებს იგი ჯერჯერობით არ დაუდასტურებიათ, ისმება კითხვა: **რამდენად შესაძლებელი იქნება ამ ტექნოლოგიის გამოყენებით ყველა სნეულებისგან დაცული და ყოველგვარ ნაკლს მოკლებული სუპერადამიანების შექმნა?**

გენომური პროგრამირების გამოყენების კლინიკური გამოცდები ამჟამად კი მიმდინარეობს, მაგრამ შორეული შედეგები მხოლოდ მისი სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვიდან მხოლოდ 15-20 წლის შემდეგ გახდება ცნობილი. საწყის ეტაპზე ის მეტად ძვირადღირებული იქნება და მას მხოლოდ მძიმე სნეულებათა სამკურნალოდ გამოიყენებენ, რომელთა სხვა მეთოდებით განკურნვა შეუძლებელია — ამ შემთხვევაში ლაპარაკია ონკოლოგიურ და მემკვიდრეობით დაავადებებზე.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თავისი სენსაციური კვლევების არანაკლებ სენსაციური შედეგების გამოქვეყნებისთანავე მკვლევარი ძიანკუი ხე... უკვალოდ გაქრა. იგი ჰონკოგში მიმდინარე გენომის რედაქტირების საკითხებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმს ესწრებოდა, შენობიდან გავიდა და... მას შემდეგ მასთან კავშირი გაწყდა. ამჟამად მას ახლობელ-ნათესავებთან ერთად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფედერალური უწყებები ეძებენ. მის ლაბორატორიაში ჩხრეკა ჩატარდა, მაგრამ ვერანაირ მინიშნებას ვერ მიაგნეს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტები გენურ-მოდიფიცირებულ ადამიანებზე მთელ მსოფლიოში არაეთიკურად ითვლება და, ხშირ შემთხვევაში, აკრძალულია.

ოთარ ტურაბელიძე

250 ქურდი არაქურდად დატოვეს

კრიმინალური სამყაროსთვის მნიშვნელოვანი დეტალი აღმოჩნდა ის, რომ ინფორმაციის თანახმად, „არაქურდად დატოვეს“ ქართველი ჯემალ მიქელაძე (ჯემო) და აზერბაიჯანელი როვშან ჯანიევი (როვშან ლენკორანსკი).

ბოლო ერთი კვირაა, აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია გავლენიანი ავტორიტეტული „კანონიერის ქურდების“ დიდი შეკრების შესახებ. ბოლო ცნობით, აღნიშნული შეხვედრა ერევანში შედგა.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ შეკრებას ქართველი „კანონიერი ქურდებიც“ ესწრებოდნენ, მათ შორის გიორგი უგულავა (ტახი), რობინზონ არაბული, დათო სებისკვერაძე, ვაჟა ბიგანიშვილი, ამირან სოფრომაძე და სხვები.

ე.წ. ავტორიტეტების მთავარი განსახილველი თემა იმ „კანონიერი ქურდების“ „შეჩერება“ და „არაქურდად დატოვება“ იყო, რომლებიც კლანებს შორის ომის პირობებში მოინათლნენ. ეს იდეა პირველ რიგში შაქრო კალაშოვისგან მოდის, კრიმინალური ავტორიტეტები მიიჩნევენ, რომ ასეთ პირობებში ე.წ. ნათლობა არასწორია. ამაზე ყველა მხარე შეთანხმდა და 2008 წლიდან დღემდე, ვინც ამ პირობებში „მოინათლა“ „არაქურდად დატოვეს“ და მათ „მომავალი“, ანუ მაძიებლები ეწოდებათ. ასეთი კი გავრცელებული ცნობით, 250-ია. ასევე დაადგინეს, რომ ისინი მოინათლებიან იმ შემთხვევაში, თუკი მათი ცხოვრების წესი შესაბამისობაში იქნება ე.წ. ქურუდულ სამყაროსთან.

კრიმინალური სამყაროსთვის მნიშვნელოვანი დეტალი აღმოჩნდა ის, რომ ინფორმაციის თანახმად, არაქურდად დატოვეს ქართველი ჯემალ მიქელაძე (ჯემო) და აზერბაიჯანელი როვშან ჯანიევი (როვშან ლენკორანსკი). ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მოგვიანებით გადაწყდება სოხუმელი მერაბ ჯანგველაძის და ტარიელ ონიანის (ტარასას) ბედი, მას შემდეგ, რაც ისინი ციხეს დატოვებენ.

თუმცა, როგორც რუსული გამოცემები წერდნენ, შეკრების ერთ-ერთი მთავარი საკითხი ტარიელ ონიანის („ტარო“), მერაბ ჯანგველაძისა („მერაბ სუხუმსკი“) და ასლან უსოიანის („დედ ჰასანი“) კლანებს შორის მრავალწლიანი დაპირისპირება გახდა. დღეს ქურდულ სამყაროში მიიჩნევა, რომ სწორედ ამ კონფლიქტს ემსხვერპლა უსოიანი და მისი მეგობარი ვიაჩესლავ ივანკოვი („იაპონჩიკი“). კრიმინალური ავტორიტეტების სამიზნედ შესაძლოა, გავლენიანი ქართველი კანონიერი ქურდები გახდნენ. მათი მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ჯანგველაძე და ონიანი მკვლელობის დამკვეთები არიან, ისინი სიკვდილით უნდა დაისაჯონ.

აქვე აზერბაიჯანული მედიის მიერ ვრცელდება ინფორმაცია, რომ ცნობა როვშან ჯანიევის არაქურდად დატოვების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება, გამოცემა ამ ინფორმაციას ჯანიევის ოჯახის ახლობლებისა და მის მეგობრებზე დაყრდნობით წერს. ამავე გამოცემის თანახმად, ერევანში აღნიშნულ „ქურდულ ფორუმს“ არ ესწრებოდა რობინზონ არაბული და სხვა ქართველი და არაქართველი ავტორიტეტებიც, მათ შორის იქ არ იმყოფებოდნენ თურქული და ბერძნული კრიმინალური დაჯგუფების ლიდერებიც.

◉ რაგბი ჩვენი თამაშია!

პატარძეულის „ვეფხვებმა“ „ლოკომოტივი“ დაამუხრუჭა

პატარძეულის მორაგბეთა გუნდი „ვეფხვები“ საქართველოს ჩემპიონატის, ანუ დიდი 10-ის დებიუტანტია. იგი გათამაშების ცხრილში მე-9 ადგილზეა, ხოლო ჩვენს სახელოვან გუნდ „ლოკომოტივს“ მესამე საფეხური უკავია. ამიტომ მეტოქეთა დაპირისპირებაში, რომელსაც რუსთავმა უმასპინძლა, უპირობო ფავორიტად რკინიგზელები მიიჩნეოდნენ. არადა, სეზონის მიწურულს პატარძეულელებმა სენსაციურ გამარჯვებას მიაღწიეს — მოქმედი ჩემპიონი 32:19 დაამარცხეს.

ეს იყო მე-10 ტურის გადადებული მატჩი. მართალია, ლოკომოტიველები 10-დღიანი და ორმატჩიან იტალიური ტურნედან გადაღლილი დაბრუნდნენ, მაგრამ სპეციალისტები უპირატესობას მაინც ჩემპიონს ანიჭებდნენ. ანგარიში მე-17 წუთზე „ვეფხვებმა“ გახსნა — ლაშა გურგენიძემ ზუსტად დაარტყა საჯარიმო. ხუთიოდე წუთში „ლოკომოტივმა“ ლელოთი და ზუსტი გარდასახვით (დაჩი კოპაძე, ბექა წიკლაური) უპასუხა. თბილისელებმა ტაიმი 7:6 მოიგეს.

პირველი ტაიმის მიწურულს არბიტრმა პატარძეულელი გიორგი ჟღენტი გაასინბინა. „ლოკომოტივმა“ რიცხობრივი უპირატესობა მეორე ტაიმის დასაწყისში გამოიყენა, თუმცა, დედაქალაქელთა ლელოს სტუმრებმა ზედიზედ სამი ზუსტი საჯარიმო დარტყმით უპასუხეს და ისევ დაწინაურდნენ - 15:14.

შეხვედრის მიწურულს „ვეფხვებს“ მეტი ენერგია შერჩა და 17 უპასუხო ქულა აიღო. შეხვედრა პატარძეულელებმა 13 ქულის უპირატესობით მოიგეს და „ლოკომოტივს“ გათამაშების ცხრილში მე-2 ადგილზე გადანაცვლების საშუალება არ მისცეს.

დიდი 10 საახალწლო შესვენებაზე გავიდა და თამაშები 25 იანვრიდან განახლდება, თუმცა, ეს არ ეხება „ლოკომოტივს“, რომელიც 12 იანვარს „კონტინენტის ფარის“ ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩს „ავჭალაზე“ იტალიურ „ფიამე ოროსთან“ გამართავს.

„ბათუმი“ — 40, რუსთავის „ხარები“ — 32, თბილისის „ლოკომოტივი“ — 32, მარნეულის „არმაზი“ — 29, ქუთაისის „აია“ — 26, თბილისის „ლელო სარასენსი“ — 24, გორის „ჯიქი“ — 19, თბილისის „აკადემია“ — 16, პატარძეულის „ვეფხვები“ — 14, თბილისის „არმია“ — 7 ქულა.

ლექსო ცინცაძე.

◉ სეზონის ფინიშზე

საშობაოდ - 24 მედალი!

სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იასპარეზა ქართულმა დელეგაციამ, სადაც ჩვენმა მოცურავეებმა 10 ოქროს, 8 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედლის მოპოვება მოახერხეს. მათგან საუკეთესო იყო თემო კობახიძე, რომელმაც 3 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ასევე ყველაზე მაღალი ქულები მოაგროვა და ოქროს მედალი მოიპოვა საკუთარ ასაკობრივ კატეგორიაში ნოე ფანცხავამაც.

ტურნირში საქართველოს გარდა სლოვაკეთის, ჩეხეთის,უკრაინისა და პოლონეთის 21 კლუბი მონაწილეობდა. გამარჯვებულთა დაჯილდოება 4 სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით ხდებოდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◉ ვითარება

შუმახერის ბედისწერა

თითქმის ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მიხაელ შუმახერს საფრანგეთის ალპებში უმძიმესი ინციდენტი შეემთხვა. ექიმებმა ის სასწაულებრივად გადაარჩინეს დაღუპვას, მაგრამ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მოწყვეტილია სრულფასოვან ცხოვრებას.

შვეიცარიულ ვილაში მას პერიოდულად აკითხავენ მეგობრები, თუმცა, ფართო საზოგადოებისთვის მისი ფოტოები და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია დაფარულია. ამ დროის განმავლობაში მისი შვილი მიკი, ვინც სახელოვანი მამის ინციდენტისას 14 წლის იყო, უკვე ფორმულა-1-ის კარს უკაკუნებს F1-ის ყველაზე ტიტულოვანი პილოტი კი რბოლებს ტელეეკრანის მეშვეობითღა უყურებს...

შუმახერის მენეჯერი საბინა კემი ყვება, თუ რატომ არ ავრცელებს ინფორმაციას ლეგენდარული გერმანელის ჯანმრთელობის შესახებ: **„ერთხელ, ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, მიხაელმა მითხრა: საჭირო არაა, რომ მომავალ წელს დამირეკო, უნდა გავუჩინარდე. როგორც ჩანს, ის დიდი ხანია ამაზე ფიქრობს. სწორედ ამიტომ არის, რომ მასზე არაფერს ვამბობთ“.**

შუმახერის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოების მიუხედავად, ახლახანს „დეილი მეილმა“ მისი ჯანმრთელობის შესახებ გარკვეული ინფორმაცია მაინც მოიპოვა. ბრიტანული გამოცემა წერს, რომ გერმანელი აღარც წევს და არც წამლებს ღებულობს. უბრალოდ, მას ექთნები ემსახურებიან, ეს მომსახურება კი ოჯახს კვირაში 50 000 გირვანქა სტერლინგი უჯდება.

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტი ჟან ტოდტი თვეში ორჯერ ნახულობს თავის მეგობარს. ახლახანს მან განაცხადა, რომ ბრაზილიის დიდ პრიზს მიხაელთან ერთად უცქირა.

„ყოველთვის ვფრთხილობ მიხაელზე განცხადების გაკეთებისას. ის კი მართალია, რომ ბრაზილიის დიდი პრიზის რბოლას მის შვეიცარიულ ვილაში მასთან ერთად, ტელეეკრანით ვუყურე“, — ამბობს ტოდტი, ვინც 2000-2004 წლებში, როცა შუმახერმა მსოფლიო ჩემპიონის ზედიზედ ხუთი ტიტული მოიპოვა, „ფერარის“ ხელმძღვანელი იყო.

კობა კობახიძე

◉ ნდობა

კვლავ გია გიორგაძე

ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საანგარიშო — საარჩევნო ყრილობა გაიმართა.

მას 67 დელეგატი ესწრებოდა, რომლებმაც ფედერაციის გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმინეს და წესდებაში ცვლილებების შეტანა დაამტკიცეს.

ბოლო საკითხი ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები იყო. მოქმედი პრეზიდენტი **გია გიორგაძე** პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი გახლდათ — მას დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ამას გარდა, აირჩიეს ვიცე-პრეზიდენტები: აკაკი იაშვილი (მსოფლიო საჭადრაკო ორგანიზაციის ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი), ვალერი გაფრინდაშვილი და ზურაბ მიქაძე, ხოლო გენერალური მდივანი სოფიო გვეტაძე იქნება. აღსანიშნავია, რომ გია გიორგაძე ფედერაციის პრეზიდენტად მეოთხე ვადით აირჩიეს.

ბეჟან დოლიძე

◉ ფეხბურთი

ზედიზედ მესამედ!

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მადრიდის „რეალი“ ფიფას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ტრიუმფატორი ზედიზედ მესამედ გახდა.

აბუ დაბიში გამართულ ფინალურ შეხვედრაში „სამეფო კლუბმა“ არაბთა გაერთიანებული საამიროების ჩემპიონი „ალ აინი“ 4:1 დაამარცხა. „რეალის“ მხრიდან ბურთები ლუკა მოდრიჩმა, მარკოს ლორენტემ და სერხიო რამოსმა გაიტანეს, ავტოგოლი კი იაჰია ნადარის ანგარიშზეა. მასპინძელთაგან თავი ცუკასა სიოტანიმ გამოიჩინა.

მარკოს ლორენტე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 23 წლის საყრდენმა მადრიდის „რეალის“ რიგებში 33-ე მატჩი ჩაატარა და ბურთი პირველად გაიტანა.

„რეალმა“ ფიფას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მეოთხედ მოიგო და რეკორდი დაამყარა. სამჯერ თასი „ბარსელონამ“ აღმართა, ორჯერ კი გამარჯვება „კორინთიანსმა“ მოიპოვა. წლევანდელი საკლუბო ჩემპიონატის მესამეადგილოსანი „რივერ პლეიტი“ გახდა, რომელმაც „კაშიმა“ 4:0 დაამარცხა.

დავძენთ, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად უელსის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ შემტევი გარეტ ბეილი დაასახელეს. მან ტურნირზე სამი გოლი გაიტანა და ოქროს ბურთი გადაეცა.

აღნიშნულ ნომინაციაში მეორე ადგილზე „ალ აინის“ ბრაზილიელი ფეხბურთელი კაიო გავიდა, ხოლო მესამეზე — „რივერ პლეიტის“ მოთამაშე რაფაელ სანტოს ბორე. ფეირ პლეის პრინციპების დაცვისთვის მადრიდის „რეალი“ დააჯილდოვეს.

გიორგი შოთაძე

დიდი სიცოცხლე

გარდაიცვალა აკადემიკოსი მიხეილ ხანანაშვილი

აკადემიკოსი მიხეილ ხანანაშვილი დაიბადა 1928 წლის 19 სექტემბერს, ცნობილი მეცნიერის, საქართველოში ქიმიის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებლის მიხეილ ხანანაშვილის ოჯახში. 1945 წელს №1 საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, უკვე მეორე კურსის სტუდენტი ჩაება სამეცნიერო მუშაობაში და პირველი სამეცნიერო ნაშრომი შეასრულა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით, რომელთანაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში წარმატებით განაგრძობდა მეცნიერულ თანამშრობლობას.

უპირობოდ მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მოხვეჭამ უფლება არგუნა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს, სათავეში ჩასდგომოდა სწორედ იმ ლაბორატორიას, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა დიდი ივანე პავლოვი.

გასაოცარია ის გარემოება, რომ აკადემიკოსი მიხეილ ხანანაშვილი მთელი თავისი უშრეტი ენერგიით აღსავსე შემოქმედებითი ცხოვრების ყველა შემდგომ ეტაპზეც უცვლელად რჩება ახალი ფორმაციის ფიზიოლოგად, კვლავაც ბრწყინვალედ წარმოადგენს ფიზიოლოგიის „ახალ ტალღას“ და ღირსეულად მორგებულ ეპითეტს „ახალი“ ამკვიდრებს, უპირველეს ყოვლისა, განუმეორებელი ნიჭით და მეცნიერული კულტურით.

1975 წელს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო იწვევს მიხეილ ხანანაშვილს — ფართო სამეცნიერო ასპარეზზე განთქმულს, მრავალი ნოვატორული კონცეფციის დამნერგავ მკვლევარს ცხოველთა ქცევის შემსწავლელი ლაბორატორიის ხელმძღვანელად, სადაც მას მიანდეს ახლად გარდაცვლილი დიდი ივანე ბერიტაშვილის მიერ ნაანდერძევი სამეცნიერო-შემოქმედებითი ტრადიციების გაგრძელება.

1984 წელს მიხეილ ხანანაშვილი აირჩიეს საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 1996 წლიდან ის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსია.

მიხეილ ხანანაშვილის მოღვაწეობის 1980-1990 წლების მონაკვეთი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ისტორიაში აღმშენებლობისა და აღმასვლის ახალ ფურცლად. ამ პერიოდში ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე უბადლო მკვლევარ-ექსპერიმენტატორის ნიჭთან ერთად გამოვლინდა მიხეილ ხანანაშვილის პროგრესული სტილის ადმინისტრატორისა და მეცნიერების ორგანიზატორის კოლოსალური უნარი.

აკადემიკოს ხანანაშვილის სამეცნიერო კვლევის ძირითადი საკითხებია უმაღლესი ნერვული მოქმედების კანონზომიერებანი ნორმისა და პათოლოგიის პირობებში, მეხსიერებისა და ემოციის პრობლემა. მას ეკუთვნის ორიგინალური კონცეფცია ინფორმაციული ნევროზის და ინფორმაციული სტრესის შესახებ.

მისი მეცნიერული მიღვაწეობიდან უაღრესად მნიშვნელოვანია ინფორმაციული ნევროზის თეორიის ჩამოყალიბება. ეს თეორია გარკვეულწილად პრაქტიკულ მედიცინაში შეიჭრა და ისევ მიხეილ ხანანაშვილის ძალისხმევითა და ორიგინალური მიდგომის საფუძველზე ფსიქონერვული დაავადების დამოუკიდებელი ნოზოლოგიური ფორმის — ინფორმაციული დაავადების სახით წარმოგვიდგა. ინფორმაციული დაავადება გულისხმობს ნერვული სისტემის უმაღლესი ფუნქციების დარღვევას და ამით განპირობებულ, ორგანიზმის სხვა სისტემების ცხოველმყოფელობის მოშლას სამი ფაქტორის არახელსაყრელი შერწყმის პირობებში. ეს ფაქტორებია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად გადასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობა, ამისთვის განკუთვნილი დრო და დასახული ამოცანის შესრულების მაღალი მოტივაცია. ამ სამი ფაქტორის თანხვედრა არახელსაყრელია ორგანიზმისთვის იმ შემთხვევაში, თუ გადასამუშავებელია დიდი მოცულობის ინფორმაცია, აუცილებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების და ტვინის ამგვარი მუშაობისთვის გამოყოფილია მცირე დრო; ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადგილი აქვს ინფორმაციის დეფიციტს, ხოლო გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია კვლავ მაღალია, აღნიშნული „ინფორმაციული ტრიადა“ საყოველთაოდ აღიარებული იქნა კლინიცისტების მიერ. არსებითად, მიხეილ ხანანაშვილის მიერ შექმნილია უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგიის ახალი სახეობა და მისი განვითარების მექანიზმის შესწავლის საფუძველზე შემუშავებული იქნა ამ პათოლოგიის პრევენციისა და მკურნალობის ახალი გზები.

მრავალრიცხოვანი კვლევების საფუძველზე მ. ხანანაშვილმა ახლებურად განიხილა და გააანალიზა ჰანს სელიეს მიერ ჩამოყალიბებული თეორია ზოგად ადაპტაციური სინდრომის თაობაზე. მის მიერ შემოთავაზებული იყო პიპოსტრესის, ნორმოსტრესის და ჰიპერსტრესის ცნება, რომლებიც არსებითად სტრესული მდგომარეობის ფორმებს წარმოადგენენ და დაასაბუთა ამ მდგომარეობის რეალური არსებობა. მიხეილ ხანანაშვილის მიერ მოწოდებული სტრესის განვითარების ორიგინალური თეორია არსებითად ჰანს სელიეს თეორიის შემდგომი განვითარებაა.

ამასთან ერთად მიხეილ ხანანაშვილმა შეიმუშავა მრავალი სრულიად ახალი ექსპერიმენტული მეთოდიკა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია თავის ტვინის ლოკომოტორული თვითსტიმულაციის მეთოდი, რომელმაც საშუალება მისცა მას და მის თანამშრომლებს, დაედგინათ ემოციის მარეგულირებელი ცენტრები თავის ტვინში.

აკადემიკოსი ხანანაშვილი მუდმივად ახლის ძიებაში იყო. თავისი მრავალწლიანი კლინიკო- ექსპერიმენტული გამოკვლევებისა და დაკვირვების ანალიზის საფუძველზე სულ უკანასკნელ ხანებში მან წარმოადგინა ნორმიდან პათოლოგიაში გადასვლის სრულიად ახალი და ორიგინალური თეორია, რასაც მან მეოთხე მდგომარეობა უწოდა.

ჯერ კიდევ 1999 წელს, რუსეთის პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გაზენკომ წინადადებით მიმართა მსოფლიოს მრავალ მეცნიერს, დაეჭირათ მხარი მიხეილ ხანანაშვილის ნობელის პრემიაზე წარსადგენად ფიზიოლოგიისა და მედიცინაში განსაკუთვრებული მიღწევებისთვის. მაგრამ სამწუხაროდ, რუსეთში მომხდარმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ხელი შეუშალეს ამ იდეის განხორციელებას.

1975 წელს ლოს-ანჯელესში ხანანაშვილისთვის პავლოვის ჯილდოს გადაცემისას ამერიკის პავლოვის საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა განტმა აღნიშნა, რომ პავლოვის შემდეგ მიხეილი არის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მეცნიერი უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ქცევის შესწავლის სფეროში.

მ. ხანანაშვილის მეცნიერული წარმატების აღიარებაზე მეტყველებს ის, რომ იგი არჩეული იყო ინგლისის, გერმანიის, აშშ-ის, ჩეხეთის, პოლონეთის პრესტიჟული სამეცნიერო საზოგადოებების წევრად და საპატიო წევრად. 1980-90 წლებში ის არჩეული იყო მსოფლიო ფიზიოლოგთა კავშირის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ. მას მინიჭებული ჰქონდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახელობის პრემია და ოქროს მედალი. დაჯილდოებული იყო სხვა პრესტიჟული საერთაშორისო პრემიებით (აშშ, გერმანია, იტალია, ინდოეთი და სხვა): ჩრდილოეთ ამერიკის ქცევის შემსწავლელი საზოგადოების ჯილდო, სსრკ სახელმწიფო პრემია, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს ნიშანი, იტალიის გერონტოლოგთა აკადემიის და სტრესის შემსწავლელი საზოგადოების ჯილდოები, პათოფიზიოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების მედალი, საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ოქროს ნიშანი, არჩეული იყო ქ. კოლომბოს (შრი ლანკა) საპატიო მოქალაქედ. 2003 წელს აირჩიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში თვის ადამიანად. არის საქართველოს „ღირსების ორდენის“ კავალერი.

მიხეილ ხანანაშვილს ეკუთვნის 300-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის 16 მონოგრაფია გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, ბულგარულ და სხვა ენებზე. იგი თანაავტორია რამდენიმე სახელმძღვანელოსი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30 საკანდიდატო და 7 სადოქტორო დისერტაცია.

საქართველო მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი და საპატიო წევრი, აკადემიკოსი

მიხეილ ხანანაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ლია წულაია, შვილები მარინა, ეკატერინე, შვილიშვილი გიორგი, სიძე მარკ ევანსი, და ირინე, ძმისშვილი ნოდარი, დისშვილი მიშიკო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ ხანანაშვილი

პანაშვიდი: 25, 26 XII, 16 სთ;
გამოსვენება: 27 XII, 14 სთ;
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №14, VII სართ. ბინა 14.

მეუღლე ნუნუ, შვილები ირინა, ალექსანდრე, სიძე ზურაბ ერისთავი, რძალი ლალი ხუადე, შვილიშვილები, ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი მოწერელია

პანაშვიდი: 25, 26 დეკემბერს, 17 საათზე, თბილისი, თამარაშვილის №2ა, II სართ;
გამოსვენება: 27 დეკემბერს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ტაძრიდან.

ბაკურ გულუა ოჯახით სამძიმარს უცხადებს ნუნუ, ირინა და ალეკო მოწერელიებს მეუღლისა და მამის

ირაკლი მოწერელიას

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ეთერი, შვილები ნიკოლოზი, გიორგი, შვილიშვილები ელენე, ალექსანდრე, და მარინა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი

ანატოლი ლეონიდეს ძე ოკლეი

პანაშვიდი: 25, 26 დეკემბერი, 17 საათზე;
გამოსვენება: 27 დეკემბერს, 14 საათზე;
მისამართი: თბილისი, დიდი დიღომი, პეტრიწის ქ. №9ა, მე-11 სართული, ბინა 39.

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს, 25 დეკემბერს, ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს პარლამენტის ორგზის ყოფილ დეპუტატს, აგროპროდუქტების ხარისხის კონტროლის საკავშირო ინსპექციისა და „საქკონსერვტრესტის“ ყოფილ თავკაცს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, დიდებულ მამულიშვილსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

თამაზ ყაჭეიშვილს

ერთი ჟურნალისტის ფანტაზიაზე აგებული პრესტიჟული ჟურნალი

გერმანული ჟურნალის Spiegel-ის ჟურნალისტმა კლაას რელოციუსმა აღიარა, რომ 7 წლის განმავლობაში ფაქტებს ამახინჯებდა და თავისი სტატიებისთვის ისტორიებს იგონებდა.

Spiegel-ის ინფორმაციით, ჟურნალისტის არაკეთილსინდისიერებაში დაეჭვდა მისი კოლეგა ხუან მორენო მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მათი ერთობლივი სტატია „მონადირის საზღვარი“ (Jaegers Grenze), მორენომ თავისი ეჭვების შესახებ გამოცემის ხელმძღვანელობას აცნობა.

როგორც გაირკვა, რეპორტიორი შეგნებულად იგონებდა ტექსტების უდიდეს ნაწილს არა მხოლოდ სტატიაში „მონადირის საზღვარი“, სადაც საუბარი იყო მექსიკა-აშშ-ის საზღვრის პატრულირებაზე, არამედ სხვა უამრავ პუბლიკაციაშიც.

2011 წლიდან რელოციუსმა დაწერა 60 სტატია, რომლებიც Spiegel-ში დაიბეჭდა. რეპორტიორის თქმით, სულ მცირე 14 სტატიაში მაინც სხვადასხვა ფორმით, ფაბრიკაციას მიმართავდა.

უფრო მეტიც, რელოციუსს არაერთგზის აქვს მიღებული ჯილდოები: ის CNN-ის ვერსიით, არაერთხელ გახდა წლის ჟურნალისტი და ხშირად ხვდებოდა Forbes-ის რეიტინგშიც. Spiegel-ის ხელმძღვანელობა სპეციალური კომისიის შექმნას აპირებს, რომელიც შეისწავლის ჟურნალისტის სტატიებს ფაქტების ფალსიფიკაციის საფუძველზე.

ძილი – კი ბატონო, მაგრამ რამდენი?

სხვადასხვა ქვეყნის ექიმებმა, რომლებიც საბოლოო ანგარიშით მილიონზე მეტი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდებოდნენ, ძილთან დაკავშირებით გარკვეულ კანონზომიერებას მიაგნეს.

აღმოაჩნდა, რომ 6 საათზე ნაკლები დროის ღამის ძილი გულის დაავადებებისა და ინსულტის რისკს 11 პროცენტით ზრდის, 8 საათზე მეტხანს ძილი კი – 33 პროცენტით. მეტიც: დაგროვდა იმის მრავალი სარწმუნო ფაქტი, რომ **ზედმეტი ძილი მავნეა არა მარტო ჯანმრთელობისთვის, არამედ ფსიქიკისთვისაც. აქედან გამომდინარე, მედიკოსებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ზრდასრული ადამიანისთვის დღე-ღამეში ძილის ოპტიმალური ოდენობა 6-დან 8 საათამდე უნდა იყოს.**

თუმცა კი სწავლულები იმასაც განმარტავენ, რომ ძილის მოთხოვნილება ყველა ადამიანს განსხვავებული აქვს, ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა ორიენტაცია საკუთარ მდგომარეობაზე და შეგრძნებებზე უნდა იქონიოს და ექიმთა „გასაშუალებაც“ მონაცემებს ყურადღება ნაკლებად უნდა მიაქციონ.

სანტა დედამიწის გარშემო მოგზაურობს

სანტა კლაუსმა ტრადიციული საშობაო მოგზაურობა დაიწყო. მისი ყოველწლიური მოგზაურობა დედამიწის გარშემო ლაპლანდიის ქალაქ როვანიემიდან იწყება.

სანტას ტრანსპორტი მარხილია, რომელშიც 9 ირემია შებმული. კონკრეტულად კი 8 ხარირემი და 1 ფურირემი. მათი სახელებია დეშერი, დანსერი, პრენსერი, კუპიდონი, კომეტი, ტანდერი, ბლიტცენი, ვიქსენი და რუდოლფ წითელცხვირა.

დედოფალი შობას ნორფოლკში გაატარებს

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალი ელიზაბეთ მეორე შობას ტრადიციულად ნორფოლკის საგრაფოში, ინგლისის აღმოსავლეთ ნაწილში შეხვდება. დედოფალი ნორფოლკში ტრადიციულად მატარებლით გაემგზავრა. უცნობია, სამეფო ოჯახიდან ვინ შეხვდება შობას დედოფალთან ერთად.

გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრინცი ჰარი და მისი მეუღლე მეგან მარკლი ნორფოლკის საგრაფოში ტრადიციულ საშობაო დღესასწაულს პრინც უილიამთან და ქეით მიდლტონთან ერთად არ შეხვდებიან და საშობაო არდადეგებს მათთან ერთად არ გაატარებენ.

NETFLIX-ი შერლოკ ჰოლმსის შესახებ სერიალს გადაიღებს

„ნეტფლიქსი“ არტურ კონან დოილის ნაწარმოებების მიხედვით დეტექტივ შერლოკ ჰოლმსის შესახებ სერიალს გადაიღებს.

სერიალის სიუჟეტი იქნება არა გამოძიებისა და დეტექტივის შესახებ, არამედ ქუჩის ბავშვებზე ლონდონის ქუჩებიდან, რომლებიც შერლოკ ჰოლმსს აბარებენ ანგარიშს ქუჩაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. სიუჟეტის თანახმად შერლოკ ჰოლმსი პერიოდულად სთხოვს ბავშვებს დახმარებას და ამ ბავშვებს ქუჩაში „ჰოლმსის თვალები“ ჰქვიათ.



სცენარი სერიალისთვის ტომ ბიდველს ეკუთვნის, რომელმაც ცოტა ხნის წინ დაასრულა მუშაობა „ყველაზე საშიში მოგზაურობის“ ეკრანიზაციის სცენარზე. სერიალის სამსახიობო შემადგენლობა და ეკრანებზე გამოსვლის თარიღი უცნობია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6627; ევრო - 3.0405;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3730
100 რუბლი - 3.8939; თურქული ლირა - 0.4993;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5665;
1000 სომხური დრამი - 5.4958.

ამინდი 25 დეკემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +9
მთიანი რაიონები - ღამე -7, დღე +6
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +2, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე -5, დღე +10
თბილისი: ღამე +1, დღე +8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge